პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

7 ოქტომბერი
შაბათი
1969
ფასი 2 კაპ.

გამოცემის ჩი-ე წელი

№ 233 (14533)

ლენინური იუბილის ვახტაზე 100

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელწყაროელ მევენახეთა გამარჯვება

წითელწყარო. (ტელეფონით. საკ. კორ.). რაიონის მშრომელებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად აღსანიშნავად, ყურძნის უხვი მოსავალი მიიღეს. სახელმწიფოს უკვე მიჰყიდეს 8.000 ტონა ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 7.500 ტონისა.

დაწინაურდა ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობა, რომელმაც მოკრიფა და სახელმწიფოს მიჰყიდა 2.100 ტონა ყურძენი ნაცვლად 1.800 ტონისა.

წითელწყაროელებმა გადაწყვიტეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მიჰყიდონ 2.000 ტონა ყურძენი.

ნობათები სამშობლოს

△ **სიღნაღის** რაიონის მეცხოველეებმა სიტყვა საქმედ აქციეს. სახელმწიფოს მიეყიდა 1.737 ტონა ხორცი ნაცვლად ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებული 1.504 ტონისა, 4.366 ტონა რძე ნაცვლად 4.062 ტონისა, 2.760 ათასი ცალი კვერცხი ნაცვლად 2.250 ათასი ცალისა, 3.211 ცენტნერი მატყლი ნაცვლად 2.888 ცენტნერისა.

△ **გეგეჭკორის** რაიონის მშრომელთა პირობა იყო 20 ოქტომბრისათვის შეესრულებინათ სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ცხრა თვის გეგმა. ფაქტიურად 30 სექტემბრისათვის სახელმწიფოს მიეყიდა 442 ცენტნერი ხორცი ნაცვლად 437 ცენტნერისა, 7.680 ცენტნერი რძე ნაცვლად 5.450 ცენტნერისა, 543.000 ცალი კვერცხი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 380.000 ცალისა, 810 ტონა თესლოვანი ხილი ნაცვლად 600 ტონისა.

△ **სამტრედიის** რაიონის მშრომელებმა პირობა გაანაღდეს. სახელმწიფოს მიჰყიდეს 815 ტონა ხორცი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 714 ტონისა, 1.586 ტონა რძე ნაცვლად ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებული 1.556 ტონისა. კვერცხის მიყიდვის ცხრა თვის გეგმა შესრულდა 101,6 პროცენტით.

△ **წულუკიძის** რაიონმა სახელმწიფოს მიჰყიდა 8.020 ცენტნერი რძე ნაცვლად ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებული 7.800 ცენტნერისა, 3.370 ცენტნერი ხორცი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 3.200 ცენტნერისა, 200.000 ცალი კვერცხი ნაცვლად 180.000 ცალისა.

△ **გურჯაანის** რაიონის კარდანახის ღვინის ქარხანამ (დირექტორი გ. მჭედლიშვილი) უკვე მიიღო და გადაამუშავა 8.564 ტონა ყურძენი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 8.476 ტონისა.

ყურძნის მიღება გრძელდება. კარდანახელმა მეღვინეებმა გადაწყვიტეს წლიური გეგმის გადამეტებით მიიღონ და გადაამუშაონ 1.000 ტონა ყურძენი.

. კარტოფილი — უდანაკარგოდ!

შაბათობა დმანისში

რუსთავი. (საკ. კორ.). ქალაქის მშრომელთა კარტოფილით უზრუნველსაყოფად ახალგაზრდობამ შაბათობა მოაწყო დმანისის რაიონში. 60 ახალგაზრდა, რომლებსაც ახლდნენ პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ხარბედია, ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ნ. სოფრომაძე, ქიმიური კომბინატის პარტიული კომიტეტის მდივანი ი. წირღვავა და კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანი ა. კობაიძე, ეწვია გომარეთის, ჯავახისა და კიროვის კოლმეურნეობებს, სადაც ახლა წარმატებით მიმდინარეობს კარტოფილის მოსავლის აღება. ახალგაზრდებმა დატვირთეს 84 სატვირთო მანქანა და 80 ტონა კარტოფილი გაგზავნეს ქალაქში.

ასეთივე ღონისძიების გატარება რუსთავის ახალგაზრდობას გათვალისწინებული აქვს ამ დღეებში წალკის რაიონშიც.

ურღვევია სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა ძმური კავშირი

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ნ. ვ. პოდგორნიმ, ა. ნ. კოსიგინმა ამხანაგებს ვ. ულბრიხტს, ვ. შტოფს, ჯ. გეტინგს, ე. კორენსს გაუგზავნეს მისალმება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 20 წლისთავთან დაკავშირებით. ძვირფასო ამხანაგებო, ნათქვამია მისალმებაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საბჭოთა კავშირის მთავრობა და ხალხები გულითადად გილოცავენ სახელოვან დღეს — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 20 წლისთავს. მხურვალედ მოგესალმებით თქვენ, გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიას, მოძმე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ყველა მოქალაქეს.

1949 წლის 7 ოქტომბერს შეიქმნა პირველი სოციალისტური გერმანული სახელმწიფო. ორი ათეული წლის მანძილზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხი მტკიცე რწმენით ადგას არჩეულ სოციალისტურ გზას.

20 განვლილი წელი იყო ჩვენი პარტიების, სახელმწიფოებისა და ხალხების მეგობრობისა და ყველაზე მჭიდრო თანამშრომლობის წლები. გულითადობით, ნდობითა და ერთმანეთის პატივისცემით გამსჭვალული ეს თანამშრომლობა სოციალისტური ინტერნაციონალიზმი და რევოლუციური სოლიდარობაა მოქმედებაში, იგი გამოხატავს ჩვენი მიზნების, ჩვენი უშიშროების, ჩვენი ბედის ურყევ ერთობას.

დიდი ლენინი, რომლის დაბადების 100 წლისთავს აღნიშნავენ მსოფლიოს ხალხები, ჩვენი სახელმწიფოს მშრომელებს მოუწოდებდა განემტკიცებინათ ძმური კავშირი გერმანიის მუშათა კლასთან. საბჭოთა ადამიანები ლენინის ამ ანდერძის ერთგული არიან. ისინი კვლავაც განახორციელებენ იმ ხაზს, რომ განამტკიცონ ძმური ურთიერთობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ყველა დარგში. დაე იცოდნენ სოციალისტური გერმანული სახელმწიფოს მტრებმა და მოშურნეებმა, რომ ვერავინ და ვერასოდეს ვერ ხელყოფს მის მონაპოვრებს, მისი საზღვრების შეუვალობას, სუვერენულ უფლებებს.

ამ საზეიმო დღეს, ნათქვამია დეპეშაში, ჩვენ სულითა და გულით ვუსურვებთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხს ახალ დიდ წარმატებებს განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმის მაღალი იდეალების გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირთან, მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან ერთ მწყობრში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა განუხრელად იბრძვის ევროპისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისათვის, აქტიურად და შეურიგებლად იბრძვის დასავლეთგერმანელ რევანშისტთა, მილიტარისტთა და ნეონაცისტთა აგრესიული ხრიკების წინააღმდეგ.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია — საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთ ერთი მოწინავე რაზმი — მაღლა ატარებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშას, ყოველთვის იმათ პირველ რიგებშია, ვინც თანმიმდევრულად იბრძვის მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობისათვის, ვინც იცავს მარქსიზმ-ლენინიზმის სიწმინდეს, იბრძვის მისი შემოქმედებითი გამოყენებისა და განვითარებისათვის. (საქდესი).

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია — ბერლინში

ბერლინი, 5 ოქტომბერი. (საქდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 20 წლისთავის ზეიმზე დღეს აქ ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის **ლ. ი. ბრეჟნევის** მეთაურობით.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ა. ტიხონოვი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, საბჭოთა კავშირის მარშალი **ი. ი. იაკუბოვსკი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ტ. ი. კისელიოვი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი **ი. კ. ლუტაკი,** სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ე. მ. ტიაჟელნიკოვი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი **რ. ფ. დემენტიევა,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში **პ. ა. აბრასიმოვი.**

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას სადგურში დახვდნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე **ვალტერ ულბრიხტი** და რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელი მოღვაწენი, მოძმე სოციალისტური ქვეყნებისა და სხვა სახელმწიფოთა ხელმძღვანელები და დელეგაციათა წევრები, რომლებიც ჩამოსული არიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 20 წლისთავის ზეიმზე.

შეხვედრის დროს ჩამწკრივდა საპატიო ყარაული, შესრულებულ იქნა სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

საზეიმო კონცერტი ბერლინში

ბერლინი, 6 ოქტომბერი. (საქდესი). გუშინ აქ სახელმწიფო ოპერის შენობაში გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი საზეიმო კონცერტი.

კონცერტზე იყვნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე **ვალტერ ულბრიხტი** და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელი პარტიული, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი.

კონცერტზე იყვნენ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის **ლ. ი. ბრეჟნევის** მეთაურობით, სოციალისტური და სხვა ქვეყნების დელეგაციათა მეთაურები და წევრები, რომლებიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩამოვიდნენ საიუბილეო ზეიმზე.

ბრძოლისა და გამარჯვების ოცი წელი

ბერლინი, 6 ოქტომბერი. (საქდესის სპეც. კორ.). დიდი საზეიმო დღესასწაულია გერმანიის მიწა-წყალზე — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები, მოძმე სოციალისტური ქვეყნების ხალხები, მთელი პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავენ გერმანიის ისტორიაში პირველი მშვიდობისმოყვარე სოციალისტური სახელმწიფოს 20 წლისთავს. სახელოვან იუბილეს მიეძღვნა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს, დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს საზეიმო სხდომა, რომელიც დღეს გაიხსნა ბერლინში.

საზეიმოდ გამოიყურება რესპუბლიკის დედაქალაქის უდიდესი დარბაზი „ვერნერ-ზეელენბინდერ-ჰალე". სცენაზეა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ღერბი და ციფრი 20. მოჩანს ლოზუნგი: „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 20 წელი მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის 20 წელია".

აქ შეიკრიბნენ პარტიული და სახელმწიფო მუშაკები, მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის წარმომადგენლები, ეროვნული სახალხო არმიის მეომრები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, 80-ზე მეტი ქვეყნიდან ჩამოსული უცხოელი სტუმრები, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

დილის 10 საათია. სხდომის პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე **ვალტერ ულბრიხტი,** გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ვილი შტოფი,** რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელი, პარტიული, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი. მათთან ერთადაა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის **ლ. ი. ბრეჟნევის** მეთაურობით. მოძმე სოციალისტური ქვეყნების დელეგაციები: ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის **ტოდორ ჟივკოვის** მეთაურობით, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის **იანოშ კადარის** მეთაურობით, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის **ვლადისლავ გომულკას** მეთაურობით, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაცია ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის **გუსტავ ჰუსაკის** მეთაურობით, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის **იუმჟაგინ ცედენბალის** მეთაურობით, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის **ფამ ვან დონგის** მეთაურობით, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბის დელეგაციები, მოძმე პარტიების წარმომადგენლები, სხვა სახელმწიფოთა დელეგაციები.

სხდომის მონაწილენი მქუხარე ხანგრძლივი ტაშით და ფეხზე ადგომით ხვდებიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელებსა და ძვირფას სტუმრებს. დარბაზის თაღებქვეშ ჟღერს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნი.

საზეიმო სხდომა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ **ერიხ კორენსმა.**

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვერნერ ლამბერცი** გულითადად მიესალმა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის **ლ. ი. ბრეჟნევის** მეთაურობით. მოძმე სოციალისტური ქვეყნების, კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციებს, სხვა სახელმწიფოთა დელეგაციებს.

დარბაზი ფეხზე ადგომით, მქუხარე ხანგრძლივი ტაშით ესალმება სტუმრებს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი მოხსენება გააკეთა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ **ვალტერ ულბრიხტმა,** რომელსაც გულთბილად შეხვდნენ სხდომის მონაწილენი.

ამხანაგ ვ. ულბრიხტის მოხსენება

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეებმა, თქვა ვ. ულბრიხტმა, ჩვენი დემოკრატიული და სოციალისტური მშენებლობის პირველი 20 წლის მანძილზე ძირეული გარდატეხა მოახდინეს გერმანელი ხალხის ისტორიაში და პირველად შექმნეს გერმანული სახელმწიფო, რომელიც ეკუთვნის ხალხს და ემსახურება მის ინტერესებს.

ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო სისტემა, ჩვენი სოციალიზმის ეკონომიური სისტემა, ჩვენი განათლების სოციალისტური სისტემა, სოციალისტური ეროვნული კულტურის განვითარება ცხადყოფენ, თუ რის მიღწევა შეუძლია ჩვენს ხალხს მას შემდეგ, რაც ბოლო მოეღო მსხვილი მონოპოლიების, მილიტარიზმის, მსხვილი მემამულეებისა და ფაშიზმის ბატონობას.

ჰიტლერული ფაშიზმისაგან გერმანიის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში საბჭოთა არმიის მიერ გაღებულ უდიდეს მსხვერპლს ამაოდ არ ჩაუვლია. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეებმა არა თუ მთლიანად აღმოფხვრეს იმპერიალიზმი, არამედ ააშენეს გერმანელი ერის სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული საბჭოთა კავშირთან. ჩვენს უშუალო მეზობლებთან — პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკასთან, აგრეთვე სოციალისტური თანამეგობრობის სხვა სახელმწიფოებთან გვაკავშირებს ურღვევი მეგობრობა.

აღნიშნა რა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა დიდი მიღწევები არსებობის 20 წლის მანძილზე, ვ. ულბრიხტმა განაცხადა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წლიურმა ეროვნულმა შემოსავალმა 100 მილიარდ მარკას გადააჭარბა და ამრიგად 1949 წლიდან ერთიოთხად გაიზარდა. ამჟამად სამრეწველო საწარმოები ხუთჯერ მეტ პროდუქციას უშვებენ, ვიდრე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პირველ წელს. საერთო მანქანათმშენებლობისა და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის მუშები ახლა 1 თვესა და 27 დღეში იმდენივე პროდუქციას უშვებენ, რამდენიც მთელი 1949 წლის მანძილზე აწარმოეს. ელექტროტექნიკისა და ელექტრონიკის დარგში დასაქმებული მშრომელები მხოლოდ 1 თვესა და 10 დღეში შესაბამისად ასეთივე მოცულობის პროდუქციას უშვებენ. ამჟამად გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მხოლოდ 10 თვის მანძილზე იმდენივე პროდუქციას უშვებს, რასაც მთელი კაპიტალისტური გერმანია უშვებდა ომამდელ მთელ წელიწადში.

ჩვენი რესპუბლიკის კოოპერირებულმა გლეხებმა და სოფლის მეურნეობის მუშებმა 20 წლის მანძილზე თითქმის ერთნახევარჯერ და უფრო მეტად გაადიდეს მარცვლის წარმოება. მათ ხორცის სასაქონლო წარმოება (ნაკლავის წონით) 380 ათასი ტონიდან 1 მილიონ 620 ათას ტონამდე გაადიდეს, რძისა — 1 მილიონ 780 ათასიდან 6 მილიონ 530 ათას ტონამდე. ეს მნიშვნელოვანი მიღწევები შესაძლებელი გახდა სოფლის მეურნეობაში სოციალისტური გარდაქმნების შედეგად, სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივებში მშრომელი გლეხობის წარმატებით გაერთიანების შედეგად, სოციალისტური საზოგადოებრივი შრომის შედეგად.

უდიდესი ცვლილებებია აგრეთვე განათლების დარგში. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სკოლების მოსწავლეთა რიცხვი ხუთჯერ გაიზარდა, ხოლო პროფესიული სასწავლებლების მოსწავლეთა რიცხვი — 9-ჯერ. 1949 წელს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში იყო სულ 18 უნივერსიტეტი და სხვა უმაღლესი სასწავლებელი, ამჟამად კი 56-ია. მშრომელთა წრიდან გაიზარდა ინტელიგენცია. ვ. ულბრიხტმა აღნიშნა აგრეთვე, რომ მნიშვნელოვანი მიღწევები აქვთ სოციალისტური ეროვნული კულტურის განვითარებაში.

ჩვენი რესპუბლიკის 20 წლის ისტორია, განაგრძო ვ. ულბრიხტმა, აღსავსეა იმის მაგალითებით, თუ როგორ აიღო სახელმწიფო და ეკონომიური ძალაუფლება ხელში იმპერიალისტური ექსპლოატაციისა და ჩაგვრისაგან განთავისუფლებულმა ხალხმა და მუშათა კლასის მარქსისტულ-ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით როგორ აშენებს საკუთარ მომავალს. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს თეორიული, პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის მეოხებით, ხალხთან მისი მტკიცე

(დასასრული მე-2 გვ.).

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქი — ბერლინის ცენტრი.

მასწავლებლის დღეს მიეძღვნა

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა მასწავლებლის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ დ. იოსელიანმა.

მოხსენება „საქართველოს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაკთა ამოცანები მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში" — გააკეთა საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა თ. ლაშქარაშვილმა.

მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. შანიძემ, თბილისის 23-ე საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელმა, სოციალისტური შრომის გმირმა, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებულმა მასწავლებელმა ნ. ჯაფარიძემ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. ლალიძემ, თბილისის 37-ე საშუალო სკოლის დირექტორმა ვ. იანკოვსკაიამ, პოეტმა მ. ფოცხიშვილმა, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ჯიბლაძემ.

საზეიმო სხდომაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი შ. ყარყარაშვილი. (საქდესი).

საერთაშორისო სემინარმა მუშაობა დაამთავრა

თბილისში მუშაობა დაამთავრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სემინარმა „სტატისტიკა დაგეგმვისათვის", რომელიც მოაწყო სსრ კავშირის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიურ კომისიასთან ერთად.

ერთი კვირის მანძილზე სემინარის მონაწილენი გაეცნენ საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მუშაობას, სტატისტიკოსთა კადრების მომზადებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სახელმწიფო სტატისტიკის ინსპექციის მუშაობას. სემინარის მონაწილენი მიიღო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. მ. სირაძემ. ისინი იყვნენ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში, დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიური კომისიის სტატისტიკური განყოფილების ხელმძღვანელმა ტ. ვ. ვისვანატანმა საქდესის კორესპონდენტს უთხრა:

— ბევრი რამ შევიტყვეთ საქართველოს სახალხო მეურნეობის დაგეგმვის სისტემის შესახებ. იგი მაღალ დონეზეა. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირში სტატისტიკას დიდ ყურადღებას უთმობენ. განსაკუთრებით გაგვაოცა სოფლის მეურნეობის დიდმა განვითარებამ თქვენს რესპუბლიკაში, კერძოდ, ისეთი შრომატევადი კულტურებისა, როგორიც არის ჩაი, ყურძენი. მადლობას ვუძღვნით საქართველოს მთავრობას და ყველა იმათ, ვინც გულთბილად ხვდებოდა სემინარის მონაწილეებს. დასასრულ მინდა ქართველ ხალხს ვუსურვო კიდევ მეტი აყვავება. (საქდესი).

აჭარის ასს რესპუბლიკის დელეგაცია ბულგარეთში გაემგზავრა

ბათუმი, 6 ოქტომბერი. (საქდესი). ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ბლაგოევგრადის ოლქში გაემგზავრა აჭარის ასს რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა მუშაკების, კულტურის დაწესებულებათა წარმომადგენლების დელეგაცია.

დელეგაციას მეთაურობს აჭარის ასს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ლ. დავითაძე. დელეგაციის შემადგენლობაში არიან საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ა. ტაკიძე, აჭარის ასს რესპუბლიკის კულტურის მინისტრი ლ. ბოლქვაძე, გაზეთ „საბჭოთა აჭარის" რედაქტორი რ. სირაძე, პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი რ. ნიჟარაძე.

ბულგარელი ხალხის ბელადმა გ. დიმიტროვმა ავტონომიური რესპუბლიკის აქტივის წინაშე გამოსვლისას 35 წლის წინათ, როცა იგი დასასვენებლად იყო აჭარაში, იწინასწარმეტყველა: „მალე დადგება დღე, როცა შავი ზღვა გახდება მეგობრობის ხიდი, დააკავშირებს ორივე ჩვენს ქვეყანას და თავისუფალი მიმოსვლა იქნება ჩვენს ძმურ ქვეყნებს შორის".

გ. დიმიტროვის წინასწარმეტყველური სიტყვები ახდა აჭარის ასს რესპუბლიკის დელეგაციის გამგზავრება ბულგარეთში იმ ურღვევი და მუდმივადმზარდი მეგობრობის გაგრძელებაა, რომელიც უკვე ხუთ წელზე მეტია აკავშირებს აჭარისა და ბულგარეთის ბლაგოევგრადის ოლქის მშრომელებს. მათ შორის სულ უფრო ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება ახალი ცხოვრების მშენებლობაში წარმატებათა მიღწევისათვის, ხოლო დელეგაციათა გაცვლა ტრადიცია გახდა.

ეძღვნება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 20 წლისთავს

□ □ □

კრება კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში

6 ოქტომბერს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლების კრება, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 20 წლისთავს მიეძღვნა. კრების მონაწილენი გულთბილად მიესალმნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩს საბჭოთა კავშირში **ჰორსტ ბიტნერს,** დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტისა და გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე დოქტორი **ლოტარ ბოლცი,** საელჩოს დიპლომატიურ თანამშრომლებს.

სტუმრებთან ერთად პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები **ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, დ. ს. პოლიანსკი, ვ. ვ. გრიშინი, ი. ვ. კაპიტონოვი,** სამინისტროებისა და უწყებების, მეგობრობის საბჭოთა საზოგადოების კავშირის, საბჭოთა კავშირ-გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის საზოგადოების, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

კრება გახსნა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა **ვ. ი. პავლოვმა.** მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ **ი. ი. პალეცკისმა.** (საქდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობისათვის, საბჭოთა კავშირისადმი დახმარებისათვის დიდი სამამულო ომის დროს და ამასთან გამოჩენილი მამაცობისათვის, ინიციატივისა და სიმტკიცისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1969 წლის 6 ოქტომბრის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებით დააჯილდოვა გერმანელ მოქალაქეთა ჯგუფი. დაჯილდოებულ გერმანელ ანტიფაშისტთა შორის ბევრმა სიცოცხლე შესწირა ამ ბრძოლას და სიკვდილის შემდეგ არის დაჯილდოებული.

წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდნენ ადამ კუკჰოფი, კურტ ფიშერი, ილზე შტიბე, ჰარო შულცე-ბოიზენი, არვიდ ჰარნაკი, ჰანს-ჰენრიხ კუმეროვი. პირველი ხარისხის სამამულო ომის ორდენით დაჯილდოებულთა შორის არიან კარლ ბერენსი, გიუნტერ ვაიზენბორნი, ალბერტ ჰესლერი და სხვები. მეორე ხარისხის სამამულო ომის ორდენით დაჯილდოვდა 8 კაცი და წითელი ვარსკვლავის ორდენით — 5 კაცი.

მეგობრები მოსკოვში

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 20 წლისთავის დღესასწაულობასთან დაკავშირებით 5 ოქტომბერს მოსკოვში ჩამოვიდა დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტისა და გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის დოქტორ ლოტარ ბოლცის მეთაურობით. სტუმრები ათ დღეს დაჰყოფენ ჩვენს ქვეყანაში, იწვევიან ლენინგრადს, ნოვოსიბირსკს, თბილისსა და ტაშკენტს, მონაწილეობას მიიღებენ სახელოვანი წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო საღამოებსა და კრებებში.

(საქდესი).

ამხანაგ ვ. ულბრიხტის მოხსენება

(დასასრული)

ერთობისა და შეკავშირების მეოხებით შესაძლებელი გახდა გაგვეხორციელებინა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ურთულესი პროცესები.

გარდაქმნეს რა საზოგადოება მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შესაბამისად ჩვენი სახელმწიფოს მოქალაქენი თვითონაც შეიცვალნენ, ხაზი გაუსვა ვ. ულბრიხტმა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა თავისი არსებობის 20 წლისთავზე მილიონობით უბრალო ადამიანის მრავალი სახელოვანი საქმისა და დიდი გამარჯვებების შედეგია. ადამიანთა განთავისუფლება იმპერიალისტური, ფაშისტური იდეოლოგიის შხამისაგან, მათში ჰუმანისტური მსოფლმხედველობის ჩანერგვა, მათი აღზრდა და თვითაღზრდა საზოგადოების გარდაქმნისათვის შრომის პროცესში, იმთავითვე ჩვენი პარტიისა და ჩვენი სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო, თქვა ვ. ულბრიხტმა.

მუშათა კლასის კავშირი მშრომელ გლეხობასთან, ინტელიგენციასთან, ხელოსნებთან და ხალხის სხვა ფენებთან, რომელიც ანტიფაშისტურ-დემოკრატიული და სოციალისტური გარდაქმნებისათვის ბრძოლაში შეიქმნა და სულ უფრო მტკიცდება, ჩვენი იმ გზის სტაბილური საფუძველი იყო, რომელიც წარმატებით განვვლეთ 20 წლის მანძილზე, განაცხადა შემდეგ ვ. ულბრიხტმა. მან თქვა, რომ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ამხანაგურმა თანამშრომლობამ დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის სხვა პარტიებთან განამტკიცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთობა მუშათა კლასის ხელმძღვანელობით. ამან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ახალი საზოგადოების მშენებლობის პრობლემების შემოქმედებითად გადაჭრას, ხალხის სხვადასხვა ფენების ინტერესების დაკავშირებას მთელი საზოგადოების ინტერესებთან და მილიონობით მოქალაქის ჩაბმას სოციალისტურ მშენებლობაში.

როგორც ვ. ულბრიხტმა აღნიშნა, ორი ათეული წლის განმავლობაში სოციალისტური ურთიერთობის საფუძველზე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში შეიქმნა ახალი საზოგადოება. მის მოქალაქეთა ურთიერთობას სულ უფრო მეტად განსაზღვრავს შეგნებული საზოგადოებრივი შრომა საერთო კეთილდღეობისათვის, სოციალისტური მსოფლმხედველობა, სოციალისტური თანასწორობის, თავისუფლებისა და ძმობის მორალი და ეთიკა, ერთობლივი პასუხისმგებლობა სოციალისტური სახელმწიფოს განვითარებისათვის.

ჩვენი დიდი წარმატებანი შეუძლებელი იქნებოდა იმ განმათავისუფლებელი მისიის გარეშე, რომელიც საბჭოთა ხალხმა შეასრულა, შეუძლებელი იქნებოდა ჩვენს მშენებლობას რომ არ იცავდეს საბჭოთა არმია, საბჭოთა კავშირი რომ არ გვიწევდეს მუდმივ ძმურ დახმარებას, სულ უფრო რომ არ მტკიცდებოდეს მჭიდრო თანამშრომლობა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიას შორის, ორივე ჩვენს სახელმწიფოს შორის ყველა დარგში, განაცხადა ვ. ულბრიხტმა. მთელ მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური ბრძოლის პირობებში, როცა წყდება საკითხი „ვინ-ვის?", სახალხო-სამეურნეო დაგეგმვის დარგში თანამშრომლობით, უმაღლესი მეცნიერულ-ტექნიკური დონის მისაღწევად კოოპერირებით, სახელმწიფოთა სოციალისტური თანამეგობრობის განმტკიცებისათვის საერთო საქმიანობით, რომლის მიზანია საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობის უზრუნველყოფა, და, უწინარეს ყოვლისა, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებისა და მისი შემოქმედებითი გამოყენების შემდგომი განვითარებით იქმნებოდა გერმანია-საბჭოთა კავშირის სულ უფრო მტკიცე მეგობრობა.

მშვიდობისა და უშიშროებისათვის თანამიმდევრული ბრძოლა ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკის ძირითადი ელემენტია. ორი ათეული წლის მანძილზე გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ საბჭოთა კავშირთან და ვარშავის ხელშეკრულების სხვა სახელმწიფოებთან კავშირურთიერთობის განმტკიცებით დაადასტურა, რომ იგი ევროპის მშვიდობისა და უშიშროების საიმედო ფაქტორია.

ვ. ულბრიხტმა აღნიშნა: ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც მშვიდობის ბასტიონია ევროპის ცენტრში, ჩვენი გერმანელი ერის სინდისია, რადგან ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ გერმანიის მიწა-წყლიდან აღარასოდეს აღარ გაჩაღდეს ომი, რადგან ჩვენ გზას ვუღობავთ დასავლეთ გერმანიის იმპერიალიზმის, მილიტარიზმისა და ნეონაციზმის ხრიკებსა და გეგმებს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა გერმანელი ერის ისტორიაში პირველი სახელმწიფოა, და მისმა ხალხმა საგარეო პოლიტიკა, რომელიც სოციალიზმის მიზნებს, ხალხთა ურთიერთგაგებისა და უშიშროების მიზნებს ემსახურება გადააქცია პრინციპად, რომელიც განმტკიცებულია ამ სახელმწიფოს კონსტიტუციით. ამ ფაქტმა, აგრეთვე რეაქციული წარსულის თანამიმდევრულმა ლიკვიდაციამ და პოტსდამის შეთანხმებით განსაზღვრული ყველა გერმანელის იმ მოვალეობის შესრულებამ, რომ აღმოეფხვრათ მილიტარიზმი და ნეონაციზმი და შეეზღუდათ მსხვილ მონოპოლიათა ძალაუფლება, — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შეუქმნეს რეპუტაცია, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის გერმანული სახელმწიფოსი, რომელსაც ეკუთვნის მომავალი.

ვ. ულბრიხტმა შემდეგ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მშვიდობისა და სოციალიზმის პოლიტიკას, რომელსაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ახორციელებს, შეესაბამება აგრეთვე სოციალისტური თანამეგობრობის ხალხთა და სახელმწიფოთა ერთობისა და შეკავშირების უზრუნველყოფის მისი თანამიმდევრული პოლიტიკა, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პოლიტიკა.

ჩვენ მივესალმებით საბჭოთა კავშირის ახალ ინიციატივას, რომლის მიზანია საერთაშორისო უშიშროების განმტკიცება, განაცხადა ვ. ულბრიხტმა. მან თქვა, რომ „მიმართვა მსოფლიოს ყველა სახელმწიფოსადმი", რომელიც საბჭოთა კავშირმა შეიტანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე, დოკუმენტია, რომელიც ყველა ხალხის საარსებო ინტერესებს შეესაბამება და ხელს უწყობს მსოფლიოს ყველა ხალხის ურთიერთგაგებას.

ვ. ულბრიხტმა მოითხოვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიღება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და თან აღნიშნა, რომ ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, რადგან ხელს შეუწყობდა დაძაბულობის შენელებას და ევროპის მშვიდობის ინტერესებს.

ვ. ულბრიხტმა ევროპის ყველა სახელმწიფოსა და ხალხს, განსაკუთრებით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, მოუწოდა ცნონ ევროპის ახლანდელი საზღვრები, მათ შორის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საზღვრები, და ძალის გამოყენების უარყოფის შესახებ ხელშეკრულების დადებით ნამდვილი წვლილი შეიტანონ დაძაბულობის შენელებაში. გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ, განაცხადა მან, ხელი უნდა აიღოს მთელი გერმანელი ხალხის ერთპიროვნული წარმომადგენლობისა და ყოველგვარი ფორმის ატომური შეიარაღების რევანშისტულ პრეტენზიებზე. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი გახდებოდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობაში მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების განხორციელება. ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ევროპის უშიშროების გზაზე.

ვ. ულბრიხტმა მხარი დაუჭირა თანამშრომლობასა და ურთიერთობის ნორმალიზაციას ყველა სახელმწიფოსთან თანასწორუფლებიანობისა და ერთმანეთის პატივისცემის საფუძველზე. მან აღნიშნა, რომ ვითარდება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრული ურთიერთობა არაბულ და სხვა სახელმწიფოებთან, რომლებმაც ეროვნული თავისუფლება მოიპოვეს. ზოგიერთ ამ ქვეყანასთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შედეგად ნდობაზე დაფუძნებულ თანამშრომლობას საიმედო საერთაშორისო-სამართლებრივი საფუძველი აქვს, რამაც ხელი შეუწყო ამ თანამშრომლობის მნიშვნელოვან განვითარებას, აღნიშნა მომხსენებელმა.

ვ. ულბრიხტმა განაცხადა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა კვლავაც ყოველნაირად დაუჭერს მხარს გმირ ვიეტნამელ ხალხს, რომელიც თავის საარსებო უფლებებს იცავს ამერიკის იმპერიალიზმის ბარბაროსული აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენ მოვითხოვთ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული ჯარების გამოყვანას ვიეტნამიდან, თქვა ვ. ულბრიხტმა.

მან განაცხადა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მხარს უჭერს არაბ ხალხებსა და სახელმწიფოებს, რომლებიც სამარცხვინო იმპერიალისტური აგრესიის მსხვერპლი გახდნენ, და მოითხოვს ისრაელის საოკუპაციო ჯარების გამოყვანას არაბულ სახელმწიფოთა ტერიტორიებიდან. ჩვენ, განაცხადა ვ. ულბრიხტმა, წინააღმდეგი ვართ, რომ დასავლეთ გერმანიის მთავრობა ერეოდეს სხვა სახელმწიფოთა საქმეებში ეგრეთ წოდებული „ჰალშტაინის დოქტრინის" და სხვა ნეოკოლონიალისტურ ექსპანსიონისტურ მისწრაფებათა საფუძველზე.

მომხსენებელმა მხარი დაუჭირა კაპიტალისტურ სახელმწიფოთა თანასწორუფლებიან ურთიერთობას ორივე გერმანულ სახელმწიფოსთან.

რაც შეეხება საერთაშორისო ურთიერთობას მუშათა მოძრაობასთან და პროგრესულ მოძრაობებთან, ჩვენ მუდამ ვიმოქმედებთ კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის დოკუმენტების სულისკვეთებით, თქვა ვ. ულბრიხტმა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ უმჭიდროესად ვართ დაკავშირებული ყველა კომუნისტურ და მუშათა პარტიასთან და მსოფლიოს მთელ დემოკრატიულ, პროგრესულ და მშვიდობისმოყვარე ძალებთან.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან 25 წლის შემდეგ საბოლოოდ ჩაიფუშა ბონის ყველა გეგმა გაევრცელებინა დასავლეთგერმანელ მილიტარისტთა ძალაუფლება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე, თქვა შემდეგ ვ. ულბრიხტმა. მან განაცხადა, რომ საჭიროა დასავლეთ გერმანიამ ცნოს ევროპაში ისტორიულად შექმნილი რეალური მდგომარეობა, ცნოს სოციალისტური გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. ეს უწინარეს ყოვლისა ხელს შეუწყობს თვით დასავლეთ გერმანიის ინტერესებს, მისი უშიშროებისა და მშვიდობის ინტერესებს, ხაზი გაუსვა ვ. ულბრიხტმა.

დასავლეთ გერმანიის ახალმა მთავრობამ, განაცხადა ვ. ულბრიხტმა, დაუყოვნებლივ და ყოველგვარი წინასწარი პირობების წამოუყენებლად უნდა მოაწეროს ხელი ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას და უარი თქვას ატომური, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური იარაღის წარმოებაზე, შენახვასა და გამოყენებაზე. მან მხარი უნდა დაუჭიროს ღონისძიებათა განხორციელებას განიარაღების დარგში. მან უარი უნდა თქვას ერთპიროვნული წარმომადგენლობის რევანშისტულ პრეტენზიებზე და ანაქრონიზმად ქცეულ „ჰალშტაინის დოქტრინაზე", და ევროპის უშიშროებისა და მშვიდობის ინტერესებისათვის, ბოლოს და ბოლოს, უნდა ცნოს ევროპის ყველა საზღვარი, მათ შორის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრები. და ბოლოს, მან უნდა დაშალოს ნეონაცისტური პარტია და აღმოფხვრას ნეონაციზმი დასავლეთ გერმანიის სახელმწიფო აპარატში, ბუნდესვერსა და იუსტიციის ორგანოებში.

ვ. ულბრიხტმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქეებს მოუწოდა ცნონ ომის შემდეგ შექმნილი რეალური მდგომარეობა, რეალურად შეაფასონ ძალთა თანაფარდობა და ხელი შეუწყონ ყველა რევანშისტულ ილუზიაზე უარისთქმას.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა კვლავაც თანამიმდევრულად განაგრძობს მშვიდობისა და უშიშროების პოლიტიკას და ყველაფერს იღონებს იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს, რომ ევროპის ხალხები და სახელმწიფოები ფართოდ ესწრაფვოდნენ მშვიდობის უზრუნველყოფას. ჩვენ კვლავაც დავუჭერთ მხარს ისეთ ღონისძიებებს, რომელთა მიზანი იქნება ევროპის უშიშროების საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის მომზადება და გამართვა, რომელშიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მონაწილეობას მიიღებს ევროპის ყველა სხვა სახელმწიფოსთან თანასწორუფლებიანობისა და თანაბარი სტატუსის საფუძველზე, თქვა ვ. ულბრიხტმა.

ვ. ულბრიხტმა აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალიზმის საზოგადოებრივი სისტემის შექმნა ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანა იყო გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VI ყრილობის შემდეგ. და ხაზი გაუსვა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინაშე დასახულ ამოცანათა გადაჭრის მთავარი წანამძღვარია კავშირი საბჭოთა კავშირთან, აგრეთვე ეკონომიური თანამშრომლობა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის მტკიცე ეკონომიური ურთიერთობის მეოხებით, ორივე ქვეყნისათვის ხელსაყრელი ეკონომიური თანამშრომლობის მეოხებით მათ შორის დამყარდა ურღვევი კავშირი, თქვა ვ. ულბრიხტმა.

ჩვენ განსაკუთრებული კმაყოფილებით ვაცხადებთ, რომ სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 1966-1970 წლების გრძელვადიანი სავაჭრო შეთანხმების საფუძველზე საქონლის ერთმანეთისათვის მიწოდება 60 მილიარდი სავალუტო მარკის ოდენობით მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდება. ეს ორი ქვეყნის ურთიერთობის განვითარების კარგი შედეგია.

ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობა, განაცხადა ვ. ულბრიხტმა, სულ უფრო სცდება ცალკეული საწარმოო და სამეცნიერო-კვლევითი ამოცანების გადაწყვეტის ფარგლებს და სულ უფრო მეტად მოიცავს სოციალიზმის ეკონომიური სისტემის, განსაკუთრებით სახალხო მეურნეობის დაგეგმვის სისტემის განვითარების კომპლექსურ პროცესებს.

ჩვენ, განაცხადა ვ. ულბრიხტმა, გვსურს დღევანდელი საზეიმო სხდომის ტრიბუნიდან გულითადი მადლობა გადავუხადოთ ჩვენს საბჭოთა მეგობრებს, სკკპ ცენტრალურ კომიტეტს გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მეთაურობით და საბჭოთა მთავრობას, განსაკუთრებით მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ალექსი ნიკოლოზის-ძე კოსიგინს, ერთობლივი მუშაობისათვის, დახმარებისა და მხარდაჭერისათვის.

შეეხო რა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის განვითარების შემდგომ ამოცანებს, ვ. ულბრიხტმა დასასრულ განაცხადა:

გერმანელი ერის სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების შედეგები მისი არსებობის პირველი ოცი წლის მანძილზე ადასტურებენ, რომ ჩვენ ვართ ისტორიული განვითარების გამარჯვებულთა მხარეზე. ამ 20 წლის შედეგები, რომლებიც მიღწეულია საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან მჭიდრო მეგობრობითა და თანამშრომლობით, ერთსა და იმავე დროს კარგი და მტკიცე საფუძველია მომავალ ათწლეულებში ჩვენი ხალხისა და სახელმწიფოს განვითარებისათვის, ჩვენი სოციალისტური საზოგადოებისა და მსოფლიოში მისი ავტორიტეტის ზრდისათვის.

(ამხანაგ ვ. ულბრიხტის მოხსენება მოისმინეს დიდი ყურადღებით. მოხსენების დროს ხშირად გაისმოდა ტაში).

• • •

შემდეგ სხდომაზე გამოვიდნენ ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარე **მ. გეტინგი**, გერმანიის გლეხთა დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე **ე. გოლდენბაუმი**, გერმანიის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე **მ. გერლახი**, გერმანიის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის აღმასრულებელი-თავმჯდომარე **გ. ჰომანი**.

მათ აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გერმანიის მიწა-წყალზე ახალი, სოციალისტური სახელმწიფოს შექმნას და თქვეს, რომ მათი პარტიების წევრები მუშათა კლასთან ერთად გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობით აქტიურად მონაწილეობენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის — სოციალისტური სამშობლოს ყოველმხრივ განმტკიცებაში. ორატორებმა დამსწრეთ აღუთქვეს, რომ მათი პარტიები კვლავაც ყველაფერს იღონებენ რესპუბლიკის შემდგომი განვითარებისათვის.

სიტყვა ეძლევა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაურს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს **ლ. ი. ბრეჟნევს**. კრების მონაწილენი ფეხზე ადგომით მხურვალე, ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან მას.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგო ულბრიხტ!

ძვირფასო გერმანელო მეგობრებო!

პატივცემულო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მთავრობა საბჭოთა კომუნისტების, ჩვენი ქვეყნის ხალხების სახელით გულითადად ულოცავენ მოძმე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხს დიდ დღესასწაულს, სოციალისტური გერმანული სახელმწიფოს ოცი წლისთავს!

დრო საუკეთესო მსაჯულია, იგი განსაზღვრავს, რა ადგილი ეკუთვნის ისტორიაში ამა თუ იმ მოვლენას. თუ ზოგიერთი მოვლენა დროთა განმავლობაში ფაიშლება, უკვალოდ ჩაივლის, სხვა მოვლენათა მნიშვნელობა და გრანდიოზულობა სულ უფრო თვალსაჩინო ხდება. ახლა, ოცი წლის დისტანციიდან, ნათლად ჩანს, რა უზარმაზარი მნიშვნელობა ჰქონდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას.

თუ წინანდელ გერმანიაში განუყოფლად ბატონობდნენ მონოპოლისტები და იუნკერები, გერმანული სამხედრო ხროვა, ნაცისტი დამნაშავენი, ახლა წარმოიშვა გერმანული სახელმწიფო, რომლის მართვის საჭეს უდგანან მუშები და გლეხები, მშრომელი და მშვიდობიანი ადამიანები. თუ გერმანულმა იმპერიალიზმმა ორჯერ გააჩაღა მსოფლიო ომი, ახლა დამკვიდრდა გერმანული სახელმწიფო, რომელიც მთელ თავის ძალებს ახმარს მშვიდობის დაცვის საქმეს, ყველაზე სამართლიანი საზოგადოებრივი წყობილების შექმნას.

ეს იყო არა მარტო გარდატეხა გერმანელი ხალხის ბედში, არამედ აგრეთვე ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა ევროპის ისტორიაში. ამას გზა გაუხსნა ხალხების ისტორიულმა გამარჯვებამ ჰიტლერულ ფაშიზმზე, ბნელეთის, ურჯულობისა და აგრესიის ძალებზე, გამარჯვებამ, რომელიც მოპოვებულია კაცობრიობის ისტორიის უდიდეს ბრძოლაში. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმატებით განვითარებას ხელი შეუწყო იმან, რომ იგი თავისი წარმოშობის მომენტიდან გახდა სოციალისტურ სახელმწიფოთა ამ დროისათვის შექმნილი ძმური ოჯახის წევრი, მათი მრავალმხრივი თანამშრომლობის აქტიური მონაწილე.

თავის იუბილეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ეგებება ძალღონით აღსავსე. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მტრებიც კი, რომლებიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ერიდებოდნენ მისი ოფიციალური სახელმწიფოებრივი სახელწოდების წარმოთქმას, ახლა იძულებული არიან აღიარონ გერმანიის სოციალისტური სახელმწიფოს წარმატებანი.

თავისი მებრძოლი ავანგარდის — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობით, სოციალიზმის დროშით გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში შეკავშირდნენ ხალხის მთელი საუკეთესო, მოწინავე ძალები, განმტკიცდა მუშათა კლასის ხელისუფლება, მისი კავშირი მშრომელ გლეხობასა და პროგრესულ ინტელიგენციასთან, წარმატებით აშენდა სოციალისტური საზოგადოების საფუძვლები. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ახლა მსოფლიოს ყველაზე განვითარებული ათი სამრეწველო ქვეყნის რიცხვში შედის.

ამ საზეიმო დღის ჩვენ ვამბობთ: პატივი და დიდება ახალი საზოგადოების შემოქმედთ თქვენს ქვეყანაში — მებრძოლ მუშათა კლასს, სახელოვან კოოპერატიულ გლეხობას, ნიჭიერ მშრომელ ინტელიგენციას, რომლებმაც სოციალისტური მშენებლობის მსვლელობაში გამოიჩინეს და იჩენენ მაღალ რევოლუციურ შეგნებას, შეუდრეკლობას, მტკიცე ნებისყოფას, ორგანიზებულობასა და დისციპლინას, ნამდვილ სოციალისტურ პატრიოტიზმს!

სოციალიზმმა საბოლოოდ გაიმარჯვა თქვენს მიწა-წყალზე. ასეთია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხის ნება. იგი დამკვიდრებულია სოციალისტური კონსტიტუციით, რომელიც მოიწონა საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმმა. სოციალისტურ მონაპოვრებს მშრომელებს ვერ წაართმევენ ვერავითარი საშუალებით — ვერც სამხედროთი, ვერც პოლიტიკურით, ვერც ინტრიგებისა და პროვოკაციების დახმარებით. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ოცი წლის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგი არ ასახულა სტატისტიკურ ცნობარებში, მაგრამ იგი მთელ რესპუბლიკაში იგრძნობა. ეს შედეგია ახალი ადამიანის აღზრდა.

კაპიტალისტური გერმანია იყო გახრწნილი ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მორალის — ცრუ ქველსიური და მეშჩანური „სათნოების" ნიღბით დაფარული მტაცებლური ეგოიზმის, გულცივი ანგარების ერთ-ერთი ციტადელი. ექსპლოატატორთა კლასები საუკუნეების მანძილზე ცდილობდნენ ჩაენერგათ გერმანელებისათვის „რასობრივი უპირატესობის" მანიაკური იდეა, სხვა ხალხებისადმი ზიზღი და მტრობა. ამას ისინი სჭირდებოდნენ თავიანთი დამპყრობლური ავაზაკური პოლიტიკის განხორციელებისათვის.

და აი დღეს, ამხანაგებო, ყველა ნათლად ხედავს, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში შეიქმნა სულ ახალი ტიპის ადამიანი — სოციალისტური საზოგადოების მშენებელი. მის მორალურ-პოლიტიკურ სახეს განსაზღვრავს საზოგადოებრივი მოვალეობის ღრმა შეგნება მშრომელთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის, ხალხის კეთილდღეობისათვის, სოციალისტური სამშობლოს განვითარებისა და აყვავებისათვის, მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან მისი მეგობრობისა და კავშირის განმტკიცებისათვის, ხალხთა მყარი მშვიდობისათვის ბრძოლაში.

სოციალისტურ გერმანიაში ადგილი არა აქვს რასიზმსა და შოვინიზმს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხს ზრდიან მარქსის, ენგელსისა და ლენინის დიადი იდეებით, გერმანული კულტურის გამოჩენილ მოღვაწეთა საუკეთესო დემოკრატიული და ჰუმანისტური ტრადიციებით. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხს ზრდიან სხვა ხალხებთან მეგობრობის, მთელ მსოფლიოში თავისუფლებისათვის რევოლუციურ მებრძოლებთან სოლიდარობის იდეებით, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის დიადი პრინციპებით. განსაკუთრებით გვახარებს ის, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში იზრდება და აქტიური შემოქმედებითი ძალა ხდება სოციალიზმის მშენებელთა ახალგაზრდა თაობა, რომელიც კომუნისტებმა აღზარდეს და რომელიც სოციალისტური სამშობლოს უსაზღვროდ ერთგულია.

ყოველივე ეს, ამხანაგებო, უდიდესი მიღწევაა თქვენს ბრძოლაში სოციალიზმისათვის. იგი ყველაზე უფრო ცხადყოფს სოციალისტური წყობილების უპირატესობას კაპიტალისტური წყობილების წინაშე, ჩვენი კომუნისტური იდეოლოგიის უპირატესობას ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინაშე. იგი ყველაზე უფრო ცხადყოფს იმ საქმის უდიდეს ღირებულებას, რომელსაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა აკეთებს ყველა გერმანელისათვის, სადაც უნდა ცხოვრობდნენ — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის აღმოსავლეთით თუ დასავლეთით.

როცა თვალს გადავავლებთ სახელოვან გზას, რომელიც გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ განვლო 20 წლიწადში, განსაკუთრებით ნათლად ვხედავთ — სწორედ აქ იქმნება ყველა გერმანელის მომავლის პირველსახე, იჭედება მათი ბედი.

ყველაფერი, რაც გაკეთდა და მოპოვებულია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, უწინარეს ყოვლისა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დამსახურებაა. მისი ხელმძღვანელობით ხორციელდება დიადი მიზნები, რომლებისთვისაც იბრძოდნენ კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი, ავგუსტ ბებელი და ვილჰელმ ლიბკნეხტი, კარლ ლიბკნეხტი, როზა ლუქსემბურგი და ერნსტ ტელმანი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობა თავიდანვე მიმდინარეობდა გერმანიისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ისეთ გამოჩენილ მოღვაწეთა ხელმძღვანელობით, როგორიც არიან ვილჰელმ პიკი, ვალტერ ულბრიხტი, ოტო გროტევოლი. გერმანიის ერთიანმა სოციალისტურმა პარტიამ შეითვისა ყოველივე საუკეთესო და მოწინავე, ეროვნულ ფრონტად შეაკავშირა ქვეყნის დემოკრატიული პარტიები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მოსახლეობის ყველა ფენა და გაუძღვა მათ მშვიდობისა და სოციალიზმის გზით. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია, რომელსაც ხელმძღვანელობს ცენტრალური კომიტეტი ჩვენი ძვირფასი მეგობრისა და მებრძოლი ამხანაგის ვალტერ ულბრიხტის მეთაურობით, თანამიმდევრულად ახორციელებს განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენების მარქსისტულ-ლენინურ კურსს, უნარიანად პოულობს სოციალისტური ეკონომიკის განვითარების, ხალხის კეთილდღეობის, მეცნიერებისა და კულტურის აღმავლობის ახალ ფორმებსა და მეთოდებს.

საბჭოთა ადამიანები მხურვალე სიმპათიით ადევნებენ თვალს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო გავლენის ზრდას. გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ თავის მისიად გამოაცხადა ყოველი ღონე იხმაროს იმისათვის, რომ გერმანიის მიწა-წყალზე აღარასოდეს აღარ შეიქმნას ახალი ომის საფრთხე. ეს უკეთილშობილესი მიზანია, ამხანაგებო, და უდიდესი მნიშვნელობის საქმე, ამისათვის გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას მადლობა უნდა უთხრას ევროპის ყველა ხალხმა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა თანამედროვე მსოფლიოს დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ზოგი ჯერაც ყოყმანობს — ცნოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა თუ არა. დაგვიანებული და ჩვენს დღეებში ოდნავ სასაცილო პოზიციაა! ასეთი შეგვიძლია „არა ვცნოთ", რომ ელბა ჩრდილოეთის ზღვას ერთვის. ლაყბობა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის „არცნობის" შესახებ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეგრეთწოდებული „უფლების" შესახებ გამოდიოდეს ყველა გერმანელის სახელით, აღარავის აღარ აძლევს დროებით პოლიტიკურ სარგებელსაც კი.

ყბადაღებული „ჰალშტაინის დოქტრინა" მხოლოდ მკვდარი კი არ არის, არამედ ბუმერანგივით ახლა თავის შემოქმედთ ხვდება. განა ამას არ მეტყველებენ უკანასკნელი პოლიტიკური მოვლენები დასავლეთ გერმანიაში? ბონის ვერავითარმა ხრიკებმა ვერ შეუშალეს ხელი იმას, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ცნეს ისეთმა სახელმწიფოებმა, როგორიც არიან კამბოჯა, ერაყი, სირია, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა, სუდანი, სამხრეთი იემენი. ეჭვიც არ არის, რომ ახლო მომავალში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას ცნობს ბევრი სხვა ქვეყანა, საერთაშორისო-სამართლებრივი თვალსაზრისით.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, სულითა და გულით გვიხარია, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცხოვრებისა და ბრძოლის 20 წელი იყო ჩვენი ორი სოციალისტური სახელმწიფოს გულწრფელი მეგობრობისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის წლები. ჩვენს მეგობრობას კარგი ტრადიციები, ღრმა ფესვები აქვს. ჩვენ მადლობით ვიგონებთ, თუ რა აღფრთოვანებით მიესალმნენ გერმანიის პროლეტარიატის ბელადები დიდ ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას, ამასთან მოუწოდებდნენ გერმანელ მუშებს შეექმნათ სოციალისტური გერმანია და კავშირი დაემყარებინათ სოციალისტურ რუსეთთან. კარლ ლიბკნეხტი ამბობდა, თავისუფლება, რომლის მზე ამობრწყინდა რუსეთში, გერმანიის თავისუფლებაც არისო.

საბჭოთა ადამიანებს არასოდეს არ დაავიწყდებათ გერმანელი მუშებისა და გლეხების გმირობა, რომლებმაც ოქტომბრის შემდეგ გერმანიის მიწა-წყალზე აღმართეს საბჭოების წითელი დროშა, რომლებიც იბრძოდნენ ინტერნაციონალურ რაზმებში საბჭოთა რესპუბლიკის მხარეზე სამოქალაქო ომის წლებში.

ყოველთვის გვემახსოვრება, რომ გერმანელი მოხალისენი სხვა ქვეყნების ინტერნაციონალისტებთან ერთად მამაცურად იბრძოდნენ ფაშიზმის წინააღმდეგ ესპანეთში. გერმანელი ხალხის საუკეთესო შვილებმა — კომუნისტებმა, ანტიფაშისტებმა მთელ მეორე მსოფლიო ომში ტერორისა და დევნის პირობებში ფაშისტთა საპყრობილეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში შეინარჩუნეს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ერთგულება, სოციალიზმის სამშობლოს — საბჭოთა კავშირის სიყვარული. ეს მიაჩნდათ უმაღლეს პატრიოტულ მოვალეობად, საკუთარი ხალხისადმი სიყვარულის უმაღლეს გამოვლინებად.

ჩვენ ვამაყობთ, რომ საბჭოთა არმიამ მშვიდობა და ჰიტლერული ტირანიისაგან განთავისუფლება მოუტანა გერმანელ ხალხს. თქვენ კარგად იცით, ამხანაგებო, რომ საბჭოთა ადამიანები ჰიტლერის ხროვას, გერმანულ იმპერიალიზმს არასოდეს არ აიგივებდნენ გერმანელ ხალხთან.

ომის ყველაზე მძიმე წლებშიც კი საბჭოთა კავშირის ხალხები არ ივიწყებდნენ, რომ გერმანიის მიწა-წყალზე არა მარტო ჰიტლერი და ჰიტლერელები მოქმედებდნენ, ჩვენ არასოდეს არ ვივიწყებდით, რომ გერმანელმა ხალხმა მსოფლიოს მისცა მეცნიერული სოციალიზმის თეორიის ფუძემდებელნი, მამაცი პროლეტარული რევოლუციონერები. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთი უდიდესი ისტორიული დამსახურება სწორედ ის არის, რომ მან ხელი შეგვიწყო გადაგველახა ის უფსკრული, რომელიც გერმანულმა ფაშიზმმა და მილიტარიზმმა გათხარა გერმანელ ხალხსა და მსოფლიოს სხვა ხალხთა — ჰიტლერული აგრესიის მსხვერპლთა შორის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის უღრმესი ერთგულება სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და რევოლუციური სოლიდარობის დიადი პრინციპებისადმი, ჩვენი საერთო იდეალებისადმი ერთგულება სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენების დიად საქმეში, შეხედულებათა და მოქმედებათა ერთიანობა — ასეთია ჩვენი ურღვევი, ძმური მეგობრობის საფუძველი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ ჩვენი ხალხების მეგობრობას მტკიცე სახელმწიფოებრივი საძირკველი ჩაეყარა. ახლა ჩვენი ურთიერთობა ემყარება მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას, მთელ რიგ სხვა დიდმნიშვნელოვან შეთანხმებებს პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურისა და თავდაცვის სფეროში. ჩვენს ქვეყნებს შორის ძმური ურთიერთობის განვითარებასა და გაღრმავებას ხელს უწყობს აგრეთვე გაცხოველებული გაცვლა დელეგაციებისა პარტიული, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ხაზით, კერძოდ კონტაქტები უმაღლეს დონეზე, რომელთა მნიშვნელობას ჩვენი მეგობრობის საქმისათვის ძალიან დიდად ვაფასებთ.

ჩვენ მადლობით ვიგონებთ მეგობრობისა და ძმობის სიტყვებს, რომლებიც დღეს ამ ტრიბუნიდან გაისმა ჩვენი ქვეყნის კომუნისტური პარტიის, სსრ კავშირის მთავრობის, საბჭოთა ხალხის მიმართ. ნება მიბოძეთ, ძვირფასო ამხანაგებო, გაგიცხადოთ თქვენ და თქვენი სახით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა მშრომელს, რომ საბჭოთა ხალხისათვის გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მეგობრობა ნამდვილად მახლობელი და ღვიძლი საქმეა. ჩვენ მოკავშირეები ვართ, ასე ვთქვათ, ორმაგად — როგორც ხელშეკრულებით ჩვენს ქვეყნებს შორის, ისე ვარშავის ხელშეკრულებით. ვინც განიზრახავს გამოსცადოს ჩვენი მეგობრობის სიმტკიცე, ჩვენი სახელმწიფოების საზღვრების ხელშეუხებლობა, უმჯობესია წინდაწინ იცოდეს: იგი წააწყდება საბჭოთა კავშირის, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის შეიარაღებული ძალების მთელ ძლიერებას, ვიმეორებ — მთელ ძლიერებას!

ჩვენ კარგად ვიცით, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, სოციალისტური თანამეგობრობის საიმედო რგოლი საერთაშორისო იმპერიალიზმის ერთ-ერთი ყველაზე აგრესიული რაზმის პირისპირ დგას. მთელი ომისშემდგომი წლების მანძილზე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გაბატონებული კლასი არ მალავს, რომ მას ხელს არ აძლევს ევროპა, რომელიც დღეს არსებობს, რომ მას სურს შეცვალოს ევროპის საზღვრები. სწორედ აქედან გამომდინარეობს დასავლეთგერმანელ რევანშისტთა დაჟინებული მისწრაფება როგორმე ხელთ იგდონ ატომური იარაღი.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკურ ასპარეზზე ჯერ კიდევ აშკარად მოქმედებს ნეონაციზმი, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო ჰიტლერიზმის კაცთმოძულეობის იდეოლოგია, მისი აგრესიული მიზნები და ხელისუფლებისათვის ბრძოლის ჩვევები, სხვაგვარად მოაზროვნეთათვის ანგარიშის გასწორების მეთოდებიც კი გადაიღო.

მართალია, დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს, როგორც ყველაფრიდან ჩანს, ესმის, თუ რა საფრთხეს უქმნის ნეონაციზმი როგორც მისი ქვეყნის აწმყოსა და მომავალს, ისე ევროპის მშვიდობას. ტყუილად კი არ გასცა მან ჯეროვანი პასუხი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უკანასკნელ არჩევნებში ნეონაცისტთა ცდებს შეეღწიათ ბუნდესტაგში.

არჩევნების ასეთი შედეგი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დემოკრატიული ძალების უდავო წარმატებაა. მაგრამ საშიში იქნებოდა გადაჭარბებით შეგვეფასებინა ეს წარმატება და მიგვეჩნია, რომ ახლა ყველაფერი წესრიგზეა, რომ ახლა ნეონაციზმი გაქრება დასავლეთ გერმანიის პოლიტიკური ასპარეზიდან. უნდა გვახსოვდეს ამხანაგებო, რომ ნეონაცისტებმა მაინც მიიღეს არჩევნებში 1 მილიონ 400 ათასი ხმა, ე. ი. ორჯერ და კიდევ უფრო მეტი, ვიდრე 1965 წელს. დასავლეთ გერმანიის საზოგადოებრიობა სერიოზულად უნდა ჩაუფიქრდეს ამას.

ევროპის ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხისათვის დიდი სიკეთეა ის ფაქტი, რომ დასავლეთგერმანული იმპერიალიზმისა და მისი სამხედრო და პოლიტიკური აგენტების ავანტიურისტულ ზრახვებს მტკიცედ ეღობება მოძმე სოციალისტური ქვეყნების ურღვევი კავშირი, რომლის ერთ-ერთი მონაწილეა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. მტკიცე და თანმიმდევრული წინააღმდეგობა რევანშისა და აგრესიის გეგმებისადმი ევროპაში — ეს ჩვენი საერთო საქმეა, ამხანაგებო! ჩვენ მიგვაჩნია, რომ გერმანელ მშრომელთა მშვიდობისმოყვარე სოციალისტური სახელმწიფოსათვის ყოველმხრივი მხარდაჭერა ყველა სოციალისტური ქვეყნის და საერთოდ ყველა იმათი საერთო საქმეა, ვინც ნამდვილად დაინტერესებულია ევროპაში მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფით.

საბჭოთა კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ვარშავის ხელშეკრულების ყველა ქვეყნის კურსი ევროპის საქმეებში ნათელი და თანმიმდევრულია. ჩვენ მხარს ვუჭერთ სახელმწიფოთა მშვიდობიან თანაარსებობას, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი წყობილების განსხვავებისა. ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ევროპის გათიშვისა ერთმანეთის მოპირისპირე სამხედრო დაჯგუფებებად, მხარს ვუჭერთ ევროპის კოლექტიურ უშიშროებას. ჩვენ მხარს ვუჭერთ დაძაბულობის შენელებას, ნამდვილი კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებას ყველა სახელმწიფოსთან, მათ შორის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთანაც. ჩვენ, რა თქმა უნდა, მივესალმებით რეალიზმისაკენ შემობრუნებას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკაში და მზად ვიქნებოდით შესაბამისად გამოვხმაურებოდით ამას. მაგრამ ჩვენი ბრძოლა მილიტარიზმისა და რევანშიზმის წინააღმდეგ — ეს პრინციპული ხაზია, და აქ კომპრომისებისათვის ადგილი არ არის.

სოციალისტურმა სახელმწიფოებმა — ვარშავის ხელშეკრულების მონაწილეებმა შესთავაზეს ევროპის ქვეყნებს შეკრებილიყვნენ ყველანი ერთად, რათა განეხილათ კონტინენტის აქტუალური პრობლემები. ჩვენ დიდად კმაყოფილი ვართ, რომ ეს ინიციატივა ფართო დადებითს გამოხმაურებას პოულობს. ახლა, როგორც ჩანს, დადგა დრო ზოგიერთი პრაქტიკული ნაბიჯი გადავდგათ სრულიად ევროპის თათბირის მოწვევის მოსამზადებლად.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ გარკვეული წრეები ნატოში გამალებით მუშაობენ დაძაბულობის შენელების წინააღმდეგ, ცდილობენ გაართულონ ვითარება ევროპის კონტინენტზე. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ: ევროპის მომავალი ეკუთვნის ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის ძალებს. და სოციალისტურ სახელმწიფოებს თავიანთ წმინდა მოვალეობად მიაჩნიათ ხელი შეუწყონ იმას, რომ განვითარება მიდიოდეს სწორედ ამ მიმართულებით.

ჩვენ იმასაც ვხედავთ, თუ რამდენად საშიშ პოლიტიკას ახორციელებენ ახლო აღმოსავლეთში იმპერიალისტები, რომელთა თანამზრახველი და იარაღი გახდა ისრაელი. საბჭოთა კავშირი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და სხვა მოძმე სოციალისტური ქვეყნები მტკიცედ და განუხრელად უჭერენ მხარს ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის მებრძოლ არაბულ სახელმწიფოთა სამართლიან საქმეს. ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის აღდგენა შეიძლება და კიდევაც უნდა იქნას აღდგენილი. ამით დაინტერესებულია დედამიწის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა. სამართალი და სამართლიანობა მოითხოვენ, რომ აგრესორს არ მივცეთ საშუალება მიითვისოს დაპყრობილი სხვისი მიწები და თავხედურად გათელოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებანი, აბუჩად აიგდოს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი!

ძვირფასო ამხანაგებო!

გასული ორი ათწლეული აღინიშნა მსოფლიო სოციალიზმის დიდი გამარჯვებებით. დამკვიდრდა და განმტკიცდა სოციალისტური თანამეგობრობა — სახელმწიფოთა და ხალხთა ახალი სოციალურ-ისტორიული ერთიანობა. იგი ვინმეს სუბიექტური სურვილით კი არა, არამედ იმ ღრმა პროცესების შედეგად შეიქმნა, რომლებიც წარმოშვა თვით სოციალიზმის ბუნებამ, იდეოლოგიისა და პოლიტიკური პრინციპების ერთიანობამ, შრომის საერთაშორისო სოციალისტურმა განაწილებამ, სოციალისტური ქვეყნების ინტერესების სოლიდარობამ და საერთო ბედმა.

დიდი და ნაყოფიერია სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობის გავლენა მსოფლიო მოვლენების მსვლელობაზე. თუ ევროპის ხალხები თითქმის მეოთხედი საუკუნეა მშვიდობის პირობებში ცხოვრობენ, ეს უპირველეს ყოვლისა დამსახურებაა სოციალისტური ქვეყნებისა, რომლებიც აქტიურად ახორციელებენ მშვიდობის პოლიტიკას, შეკავშირებულად უწევენ წინააღმდეგობას იმპერიალისტური აგრესიისა და მილიტარიზმის ძალებს. თუ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში გაკოტრდა ამერიკის იმპერიალიზმის სამხედრო ავანტიურა, იქაც ვლინდება სოციალისტურ სახელმწიფოთა ძმური სოლიდარობა, მათი ერთობლივი დახმარება და მხარდაჭერა გმირი ვიეტნამელი ხალხისადმი.

თვალის ჩინივით უფრთხილდებოდნენ მსოფლიო პროგრესის ავანგარდს, ანტიიმპერიალისტური ფრონტის ბირთვს — სოციალისტურ თანამეგობრობას, აძლიერებდნენ მას პოლიტიკური, ეკონომიური და თავდაცვითი თვალსაზრისით, აკავშირებდნენ მის მონაწილეებს მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების საფუძველზე — ასეთია თანამედროვე პირობებში სოციალისტური ქვეყნებისა და ყველა კომუნისტის უპირველესი ინტერნაციონალური მოვალეობა. სწორედ ეს მიაჩნია ახლა საბჭოთა კავშირს თავის მთავარ საერთაშორისო ამოცანად, სწორედ ასეთი დასკვნა გამოაქვს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას კომუნისტური და მუშათა პარტიების 1969 წლის ივნისის საერთაშორისო თათბირის შედეგებიდან, რომელიც მთელი მსოფლიოს კომუნისტებისა და საერთოდ ანტიიმპერიალისტური ძალების შეკავშირების პროცესის მეტად დიდმნიშვნელოვან ეტაპად მიგვაჩნია.

რა თქმა უნდა, ძველი სამყარო ჩაგვრისა და ძალადობის სამყარო ნებაყოფლობით არ თმობს თავის პოზიციებს. იგი იყენებს საშუალებათა მთელ არსენალს — აგრესიის პირდაპირი აქტები იქნება ეს თუ ფარული ცდები ძირი გამოუთხაროს სოციალისტურ თანამეგობრობას, შიგნიდან დაასუსტოს იგი. მაგრამ ეს განწირული წყობილების უიმედო ცდებია. ისტორიული ინიციატივა სოციალიზმის ხელთაა, იგი შეტევაზეა, მომავალი მას, სოციალიზმს ეკუთვნის!

ჩვენი ეპოქა, მსოფლიო ასპარეზზე კლასობრივი ბრძოლის ლოგიკა, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის სწრაფი განვითარება ახალ ჰორიზონტებს უხსნის სოციალისტურ თანამეგობრობას. უპირველეს ყოვლისა საქმე ეხება შრომის საერთაშორისო განაწილების შემდგომ გაღრმავებას, სოციალისტური ინტეგრაციის განვითარებას, მოძმე ქვეყნების მოქმედების უფრო მჭიდრო გაერთიანებასა და შეთანხმებას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გადამწყვეტი მიმართულებებით, თანამშრომლობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას. ამის დიდ შესაძლებლობას გვაძლევენ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს აპრილის სესიის გადაწყვეტილებანი. ამ გადაწყვეტილებათა თანმიმდევრული განხორციელება — საბჭოთა კავშირი კი თავის მხრივ ყოველ ღონეს იხმარს ამისათვის — ახალ საფეხურზე აიყვანს მოძმე სოციალისტურ სახელმწიფოთა ეკონომიურ თანამშრომლობას, უფრო მრავალფეროვანსა და ქმედითს გახდის მას.

ჩვენ გვაქვს საიმედო საშუალება, რომელიც გვეხმარება გამოვნახოთ სწორი გადაწყვეტილებანი, დავძლიოთ სიძნელენი, რომლებიც ზოგჯერ წარმოიშობა. ეს არის მარქსისტ-ლენინელთა სოციალისტური ინტერნაციონალიზმი, რევოლუციური სოლიდარობა, ინტერნაციონალური და ნაციონალური მომენტების სწორი შეხამება სოციალისტური ქვეყნების პოლიტიკაში.

ამხანაგებო!

ახლოვდება ყველა ჩვენგანისათვის ძვირფასი თარიღი — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავი. დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ეგებება ამ თარიღს საბჭოთა ქვეყანა. მილიონობით საბჭოთა ადამიანმა გაშალა საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება, რათა ახალი წარმატებებით კომუნისტურ მშენებლობაში აღნიშნოს ლენინის იუბილე.

ჩვენ ვიცით, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომუნისტები და ყველა მშრომელი აგრეთვე აქტიურად ემზადებიან ამ დიდი დღესასწაულისათვის. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადება, რომელიც მთელ მსოფლიოში გაიშალა, ცხადყოფს ლენინიზმის ინტერნაციონალურ მნიშვნელობას.

ვ. ი. ლენინის სახელთან, მის მოძღვრებასთან განუყრელად დაკავშირებულია მსოფლიოს რევოლუციური განახლება. დიდი ოქტომბრის გამარჯვება, მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნა, კოლონიური იმპერიების დამსხვრევა და მათ ადგილას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა წარმოშობა, პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის მასშტაბი კაპიტალისტურ ქვეყნებში — ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ კაცობრიობა ცხოვრობს და კვლავაც იცხოვრებს მარქსის, ენგელსისა და ლენინის მოძღვრებით, მათი უკვდავი იდეების გამარჯვების ნიშნით.

ნება მიბოძეთ, ძვირფასო მეგობრებო, ერთხელ კიდევ მივულოცო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომუნისტებსა და ყველა მშრომელს სოციალიზმის სახელოვანი იუბილე გერმანიის მიწა-წყალზე. სულითა და გულით გისურვებთ თქვენ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთელ ხალხს ახალ გამარჯვებებს სოციალისტურ მშენებლობაში, ევროპის უშიშროებისა და ხალხთა მშვიდობისათვის ბრძოლაში.

გაუმარჯოს და ჰყვაოდეს სოციალისტური გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა!

გაუმარჯოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა მებრძოლ ავანგარდს — გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიას და მის მებრძოლ ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურღვევ მეგობრობას!

დაე მტკიცდებოდეს და ჰყვაოდეს სოციალისტურ სახელმწიფოთა ძმური თანამეგობრობა — მშვიდობისა და პროგრესის საიმედო ბურჯი დედამიწაზე!

(ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა დიდი ყურადღებით მოისმინეს. დარბაზში ხშირად ისმოდა მქუხარე ტაში).

• • •

სიტყვის დასასრულს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა მიმართა ამხ. ვალტერ ულბრიხტს და მთელი დარბაზის ტაშის გრიალში გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისასალმებელი წერილი.

შემდეგ ლ. ი. ბრეჟნევმა გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სამახსოვრო საჩუქარი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 20 წლისთავთან დაკავშირებით—საბჭოთა მხატვრის პ. ტ. მალცევის სურათი „ვ. ი. ლენინი კომუნისტურ შაბათობაზე". ამხ ლ. ი. ბრეჟნევი ამბობს, რომ ეს საჩუქარი საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურღვევი მეგობრობის სიმბოლოა, მეგობრობისა, რომელიც ეყრდნობა მარქსისტულ-ლენინური იდეების მტკიცე საძირკველს და რომელიც განუწყვეტლივ მტკიცდება და ვითარდება.

კრების მონაწილენი, ფეხზე ამდგარნი, მქუხარე ხანგრძლივი ტაშით მიესალმებიან საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაურს.

საზეიმო სხდომის მონაწილენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ მოძმე ქვეყნებისა და პარტიების წარმომადგენლებს, რომლებმაც მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს. მგზნებარე მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს ტრიბუნიდან დელეგაციების ხელმძღვანელებმა — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვლადისლავ გომულკამ**, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **გუსტავ ჰუსაკმა**, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **იანოშ კადარმა**, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ტოდორ ჟივკოვმა**, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **იუმჟაგინ ცედენბალმა**, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა **ფამ ვან დონგმა**, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **იონ პეცანმა**, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო სკუპშჩინის თავმჯდომარის მოადგილემ **გუსტავ ვლახოვმა**, გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **მაქს რაიმანმა**.

საზეიმო სხდომა დამთავრდა. მთელი დარბაზი ფეხზე დგება. დამსწრენი ხელიხელჩაკიდებული მღერიან რევოლუციურ სიმღერას „მეგობრებო, წინ—, წინ გასწით".

კომუნისტი

მე-2 გვერდი, სამშაბათი,
7 ოქტომბერი, 1969 წ.

ილიჩის პირველი მონუმენტი საქართველოში

1921 წლის სექტემბერში თბილისში დადგეს ვ. ი. ლენინის მონუმენტ-ბიუსტი

კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მთელი საქმიანობა, სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და სოციალიზმის აშენებისათვის ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის მთელი ისტორია მჭიდროდ დაკავშირებულია მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადისა და მასწავლებლის ვ. ი. ლენინის სახელთან. ვლადიმერ ილიას-ძე სიყვარულით ზრდიდა და აწრთობდა ამიერკავკასიის რევოლუციონერთა კადრებს, წარმართავდა მათს ბრძოლას, ზრუნავდა სუვერენული საქართველოს საბჭოთა სახელმწიფოს შექმნისათვის, ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისათვის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საწარმოო ძალების, ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისათვის.

ვ. ი. ლენინისადმი მხურვალე მადლობისა და სიყვარულის გრძნობით იყო აღსავსე ახალგაზრდა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელების, სახელოვანი XI არმიის მეომართა გული. ეს მკაფიოდ გამოიხატა იმით, რომ თბილისში, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების მეშვიდე თვეს აღმართეს ბელადის მონუმენტი. საქართველომ პირველმა მსოფლიოში აღმართა გენიალური მასწავლებლის მონუმენტი თავისი დედაქალაქის ცენტრში.

ქვემოთ ვაქვეყნებთ მასალებს, რომლებიც მოგვითხრობენ ამ ამაღელვებელ ამბავზე, იმაზე, თუ რა ენთუზიაზმით შეხვდნენ რესპუბლიკის მშრომელები და კავკასიის ცალკე არმიის მეომრები ილიჩის მონუმენტის დადგმას.



გაზეთების გაყვითლებულ ფურცლებს გადავყავართ იმ შორეულ დროში:

„პრავდა გრუზიი“, № 164, შაბათი, 1921 წლის 17 სექტემბერი.

მთავრობის მოქმედება და განკარგულებანი.

საქართველოს ს.ს.რ. რევოლუციური კომიტეტის ბრძანება № 81.

1. კავკასიის ცალკე არმიის შექმნის წლისთავის დღესასწაულის მოსაწყობად შეიქმნას კომისია ამხ. ორახელაშვილის თავმჯდომარეობით, რომლის შემადგენლობაში შევლენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და ტფილისის კომიტეტების, საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის, კავკასიის ცალკე არმიის პოლიტიკური სამმართველოს, საქართველოს პროფესიული კავშირების საბჭოსა და საქართველოს ს.ს.რ. პოლიტიკური განათლების მთავარი სამმართველოს წარმომადგენლები.

2. ყველა საბჭოთა დაწესებულებას ეძლევა წინადადება ცენტრალური კომისიის განკარგულებანი, რომლებიც ეხება ამ დღესასწაულის მოწყობას, შეასრულოს საბრძოლო წესით...

საქართველოს რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე
ს. ქავთარაძე.

რევოლუციური კომიტეტის მდივანი
ა. ხალარიძე.

„პრავდა გრუზიი“, № 165, კვირა, 1921 წლის 18 სექტემბერი.

ქრონიკა

ამხ. ლენინის მონუმენტი

„კავკასიის ცალკე არმიის სამი წლისთავის დღე აღინიშნება ამხ. ლენინის მონუმენტ-ბიუსტის გახსნით“. ამ ბიუსტს, რომლის ავტორია მოქანდაკე სერგეევი, დგამს განათლების სახალხო კომისარიატის საორგანიზაციო ცენტრის მოქანდაკეთა სახელოსნო“.

ქალაქ ტფილისისა და მისი რაიონების რევოლუციური კომიტეტის ბრძანება № 42.

კავკასიის ცალკეული არმიის წლისთავის დღესასწაულის დღეს ქალაქის მორთულობის შესახებ.

ყველა სახლის კომიტეტს, საბჭოთა შენობების კომენდანტს, სახლის მფლობელსა და ბინის მფლობელს ეძლევათ წინადადება 21 სექტემბრის დილისათვის მორთონ სახლები და შენობები. ამ მიზნით გამოიყენონ ხალიჩები, ფერადი ქსოვილები, დროშები და სხვა, რაც კი ბინებში ექნებათ, სახლებში, სადაც ბაღებია, სახლები მორთონ მწვანითა და გირლანდებით. საღამოს ფასადის ფანჯრებში გამოიყენონ განათების ყველა საშუალება — ლამპები, კანდელები და სხვ. ქალაქის მილიციის რაიონულ კომისრებს ევალებათ თვალყური ადევნონ ამ ბრძანების ზუსტ შესრულებას და ყოველნაირი დახმარება გაუწიონ სახლის კომიტეტებს, შენობათა კომენდანტებსა და კერძო პირებს ბრძანების შესრულებაში.

ქალაქის რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე
ა. გეგეჭკორი.

„პრავდა გრუზიი“, № 167. ოთხშაბათი, 1921 წლის 21 სექტემბერი.

პროფესიული მოძრაობა

საქართველოს პროფესიული კავშირების საბჭოს პრეზიდიუმისაგან

საქართველოს პროფესიული კავშირების საბჭოს პრეზიდიუმი შრომის სახალხო კომისარიატთან ერთად 21 სექტემბერს აცხადებს სამუშაო დღედ. მუშაობა შეწყდება დილის 10 საათზე ზეიმში მონაწილეობისათვის.

21 სექტემბერი ითვლება სამუშაო დღედ. ყველა დაწესებულებაში, ფაბრიკებსა და ქარხნებში მუშები და მოსამსახურეები ცხადდებიან დადგენილ საათზე. მუშაობა წყდება დილის 10 საათზე. მოსამსახურეები და მუშები დაჯგუფდებიან შესაბამისი პროფკავშირების გამგეობათა მიერ დადგენილი წესით და გაემართებიან დანიშნულების ადგილისაკენ, რომელიც აღნიშნულია ზეიმის პროგრამაში“.

კინოქრონიკის მიერ შემონახული იშვიათი კადრები ავსებენ გაზეთების მასალებს, ჩვენს წინ აცოცხლებენ საბჭოთა საქართველოს დედაქალაქში გამართულ ზეიმს.

...1921 წლის 21 სექტემბრის შესანიშნავი მზიანი დილა. ქუჩები სადღესასწაულოდ არის მორთული. სახლებს ამშვენებენ დროშები, პლაკატები, უზარმაზარი პანოები, მწვანე გირლანდები. გუგუნებენ სასულე ორკესტრები. სამხედრო ნაწილები დილიდანვე მიემართებიან თავისუფლების მოედნისაკენ (ამჟამად ლენინის მოედანი).

11 საათი და 30 წუთია. ტრიბუნაზე არიან კავკასიის ცალკე არმიის სარდალი ა. ი. გეკერი, არმიის რევოლუციური საბჭოს წევრები, საქართველოს რევკომის წევრები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები. არმიის სარდალი კავკასიის ცალკე არმიის მეომრებს ულოცავს არმიის სამი წლისთავს. შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს ამხანაგებმა ს. ი. ქავთარაძემ, ი. ღ. ორახელაშვილმა, შ. ზ. ელიავამ და სხვებმა.



მისალმებათა შემდეგ ტრიბუნის წინ ჩაიარეს კავკასიის ცალკე არმიისა და საქართველოს წითელი არმიის ნაწილებმა, მუშათა შეიარაღებულმა რაზმეულებმა და კომკავშირის რაზმებმა, კურსანტებმა და განსაკუთრებული დანიშნულების რაზმმა. ისინი განლაგდნენ რუსთაველის მოედანზე. აქ მათ შეხვდნენ საწარმოების, დაწესებულებისა და პროფკავშირების წარმომადგენლები თავიანთი დროშებით.

პირველი საათისათვის ჯარები და დემონსტრანტთა კოლონები ჩამწკრივდნენ მოედანზე, რუსთაველის პროსპექტის, ყოფილი ოლღას ქუჩისა და გრიბოედოვის ქუჩის შესაყართან. პატარა მოედნის ცენტრში დგას ტილოგადაფარებული ნაგებობა.

საქართველოს რევკომის თავმჯდომარემ ფ. ი. მახარაძემ შეკრებილთ მიმართა. მან თქვა: „შემთხვევითი არ არის, რომ კავკასიის ცალკე არმიის მე-3 წლისთავის ზეიმის დღეს, ჩვენ ტფილისში, საბჭოთა საქართველოს დედაქალაქში, ვხსნით იმ ადამიანის მონუმენტს, რომელიც წითელი არმიის მამა და შთამაგონებელია, — მთელი პროლეტარიატის დიდი ბელადის ამხანაგ ლენინის ძეგლს...

...ამხ. ლენინი იყო და არის ის ადამიანი, რომელიც გზას უნათებდა წითელ არმიას და იყო არა მარტო მთელი საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის იდეური ხელმძღვანელი, არამედ აგრეთვე უდიდესი სტრატეგი გიგანტურ სამოქალაქო ომში...“

შემდეგ ფ. ი. მახარაძემ გამოაცხადა, რომ ოლღას ქუჩას დღეიდან ლენინის ქუჩა ეწოდება. მან თავისი გამოსვლა შემდეგი სიტყვებით დაამთავრა:

„გაუმარჯოს წითელ არმიას! გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარიატის დიდ ბელადს ამხანაგ ლენინს! გაუმარჯოს პროლეტარულ რევოლუციას!“

გრიბოედოვის ქუჩის აღმართზე მდგარმა გაერთიანებულმა სასულე ორკესტრმა და გაერთიანებულმა გუნდმა შეასრულეს „ინტერნაციონალი“. პროლეტარული ჰიმნის საზეიმო მელოდიის თანხლებით ჩამოხსნეს ტილო. პოსტამენტზე დგას კარგად შესრულებული ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სკულპტურული პორტრეტი.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს მდივანმა, საკავშირო პროფსაბჭოს კავკასიის ბიუროს თავმჯდომარემ ი. პ. ფიგატნერმა.

ვ. ი. ლენინის მონუმენტთან გამართული მიტინგით დამთავრდა დღესასწაულის საზეიმო ნაწილი.

კავკასიის ცალკე არმიის სამი წლისთავის დღის ცენტრალური მოვლენა იყო კომუნისტური პარტიის ფუძემდებლის, საბჭოთა ქვეყნის ხელმძღვანელის ვ. ი. ლენინის ძეგლის გახსნა. ქართველმა ხალხმა ცხადყო ღრმა სიყვარული ბელადისადმი, მეგობრული გრძნობები მოძმე ხალხებისადმი, ერთგულება პროლეტარული ინტერნაციონალიზმისადმი.

საქართველო იყო მსოფლიოში პირველი ქვეყანა, რომელმაც თავისი დედაქალაქის ცენტრში ააგო საერთაშორისო მუშათა კლასის ბელადის მონუმენტი. ქალაქ თბილისმა ერთ-ერთმა პირველმა თავის ერთ-ერთ ულამაზეს ქუჩას უწოდა დიდი ლენინის სახელი. ქართველ ხალხს უფლება აქვს იამაყოს ამით!

• • •

აი რა გვიამბო კომუნისტური პარტიის ერთ-ერთმა უძველესმა წევრმა, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების აქტიურმა მონაწილემ სერგი ივანეს ძე ქავთარაძემ:

— მენშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებისათვის ვ. ი. ლენინისადმი მადლობის გრძნობა იმდენად ძლიერი, ბელადის ავტორიტეტი იმდენად დიდი, მისადმი სიყვარული იმდენად უსაზღვრო და ეს გრძნობები იმდენად საერთო იყო, რომ ახლა არ შემიძლია გავიხსენო, თუ ვინ წამოაყენა პირველად წინადადება აგვეგო ვლადიმერ ილიას ძის მონუმენტი. და ეს არც არის მთავარი. მთავარია ის, რომ ვლადიმერ ილიას ძისადმი კეთილი გრძნობების გამოხატულების ამ ფორმას ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ხალხმა.

კავკასიის ცალკე არმიის სამი წლისთავის დღე, რომელსაც დაუკავშირეს ლენინის მონუმენტის გახსნა, თბილისელებმა აღნიშნეს როგორც დიდი დღესასწაული. საქართველოს რევკომის სახელით დავალებული მქონდა დროშა გადამეცა კავკასიის ცალკე არმიისათვის თავისუფლების მოედანზე (ამჟამად იგი ლენინის სახელს ატარებს) პარადის წინ მივულოცე სახელოვან წითელარმიელებს და არმიის მეთაურს ამხანაგ ა. ი. გეკერს გადავეცი აბრეშუმის ალისფერი დროშა. 1921 წლის 23 სექტემბერს გაზეთი „კრასნი ვოინი“ წერდა, რომ ამ დროშის ტილო მოსირმული იყო, დროშის ცენტრში გამოხატული იყო ნამგალი და ურო, ხოლო ქვემოთ ეწერა: „კავკასიის ცალკე არმიის, რუსეთის მუშურ-გლეხური წითელი არმიის ერთ-ერთ მძლავრ რაზმს, ჩაგრულთა განმათავისუფლებელს“.

• • •

საინტერესოა საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის გიორგი დიმიტრის ძე ბეჟანიშვილის მოგონება. იგი 1922 წლიდან 1953 წლამდე თბილისის საქალაქო საბჭოში მუშაობდა.

— კარგად მახსოვს 1921 წლის 21 სექტემბრის საზეიმო დღე, — გვიამბობს იგი. — რკინიგზის მუშები და მოსამსახურეები, სადაც მაშინ ვმუშაობდი, დილით გაემართნენ რუსთაველის პროსპექტისაკენ. პროსპექტის გასწვრივ უამრავი ხალხი იყო ჩამწკრივებული. გეგონებოდათ, ქალაქის ყველა მცხოვრები ქუჩაში გამოსულაო. შესანიშნავი ამინდი იდგა. სახლები მორთული იყო ალმებითა და მწვანე გირლანდებით. უკრავდნენ ორკესტრები.

ჯარების პარადის შემდეგ შეიარაღებული მუშების რაზმებმა ჩვენს ახლოს ჩაიარეს, რუსთაველის პროსპექტის, ყოფილი ოლღას ქუჩისა და გრიბოედოვის ქუჩის გადაკვეთასთან, მივესალმეთ მათ, შემდეგ კი უკან გავყევით ჯარებს პატარა სკვერამდე, რომელიც ოლღას ქუჩის დასაწყისში, ცხენის ფოსტის ერთსართულიანი შენობის წინ მდებარეობდა. (შემდეგ ამ შენობაში მოთავსებული იყო რადიოტელეგრაფის ქარხანა, რომელიც 30-იან წლებში აიღეს ქალაქის რეკონსტრუქციის დროს).

ამ ადგილზე მოწყობილი იყო ფიცარნაგი. როცა მას მივუახლოვდით, თვალში გვეცა ნაგებობა, რომელსაც ზემოდან ტილო ეფარა.

მიტინგი გახსნა ფილიპე მახარაძემ, რომელმაც სიტყვა ქართულ ენაზე წარმოთქვა. ტილო ჩამოხსნეს. მახსოვს ორკესტრები უკრავდნენ, ჩვენ კი ყველანი „ინტერნაციონალს“ ვმღეროდით. შემდეგ რუსულ ენაზე გამოვიდა იური ფიგატნერი. დღესასწაული გვიან ღამემდე გაგრძელდა.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ბიუსტი მოქანდაკე ვ. ა. სერგეევის ნამუშევარი იყო.

მინდა მადლიერებით მოვიხსენიო მოქანდაკე. ის, რაც მან გააკეთა ჩვენი ქალაქისათვის, თითოეულმა თბილისელმა უნდა იცოდეს.

1922 წელს ვ. ა. სერგეევმა შექმნა ვ. ი. ლენინის მთლიანი ქანდაკება. 1923 წელს ეს ქანდაკება დაიდგა თბილისში, გ. ვ. პლეხანოვის სახელობის კლუბის ბაღში, ოქტომბრის ქუჩაზე. იმავე 1923 წელს ზემელის აფთიაქის ახლოს (ახლა რუსთაველის მოედანი) დაიდგა სერგეევის ნამუშევარი როზა ლუქსემბურგის ძეგლი. მოედნის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით ძეგლი გადაიტანეს ელბაქიძის დაღმართზე სკვერში, ხოლო მოგვიანებით — კიკვიძის სახელობის პარკში, რომელიც ლენინის რაიონში მდებარეობს.

ალიოშა ჯაფარიძის ძეგლი, რომელიც სერგეევმა შეასრულა, 1925 წელს დადგეს სკვერში საბჭოს ქუჩაზე. სერგეევს ეკუთვნის აგრეთვე კარლ მარქსის ბიუსტი, რომელიც დიდხანს იდგა მოაჯირზე კარლ მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის სვეტებს შორის. ამას გარდა, სერგეევის ნამუშევარია მუშისა და გლეხის ფიგურები, რომლებიც მეორე სართულის დონეზეა დადგმული რუსთაველის პროსპექტის შენობის ფასადზე, სადაც ახლა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროა.

მე არ ვიცი, რომელ წელს წავიდა სერგეევი აქედან და შემდეგ სად მუშაობდა. მაგრამ თბილისში მისი ნაყოფიერი შემოქმედებითი საქმიანობა, რომელსაც მკაფიოდ გამოხატული პოლიტიკური მიმართულება ჰქონდა, პატივისცემის ღირსია. უნდა დავძინო, რომ სერგეევმა ჩვენს ქალაქში პირველმა დაიწყო მუშაობა მონუმენტური პროპაგანდის ლენინური გეგმის განხორციელებაზე.

• • •

კიდევ ორიოდე სიტყვა მოქანდაკე სერგეევისა და მისი მოღვაწეობის შესახებ:

საქართველოს სსრ სამხატვრო აკადემიის რექტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი აპოლონ ყარამანის ძე ქუთათელაძე გვიამბობს:

მოქანდაკე ვ. ა. სერგეევს კარგად ვიცნობდი და ჩინებულად მახსოვს მისი ნამუშევარი ვ. ი. ლენინის ბიუსტი, რომელიც რუსთაველის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კუთხეში იდგა. სერგეევი რევოლუციის მხატვარია. ბელადის სახეზე მუშაობა მისთვის შემთხვევითი მოვლენა კი არ იყო, არამედ კანონზომიერება.

თბილისში სერგეევი XI არმიასთან ერთად ჩამოვიდა. იმ დროს ყველა ქართველი მხატვარი ძველ სკოლას ეკუთვნოდა. ჩვენ, მაშინდელი ახალგაზრდობა, ხელოვნების პირველი მუშაკები ვიყავით საქართველოში, რომლებიც საბჭოთა სინამდვილის თემებზე ვმუშაობდით. ძალიან დიდი ყურადღება ეთმობოდა სააგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას. გამოდიოდა მწვავე პოლიტიკურ-სატირული პლაკატები.

სახელოსნო, რომელშიც სერგეევი მუშაობდა, რუსთაველის პროსპექტზე იყო, იქ, სადაც ახლა სამხატვრო სალონია. მაღაზიის ვიტრინასავით უზარმაზარ ფანჯარაში ქუჩიდან მოჩანდა ხოლმე ტანმორჩილი მოქანდაკე.

სერგეევი ბევრს მუშაობდა. ბობოქარი ცხოვრება მხატვრისაგან პროდუქციას მოითხოვდა დაუყოვნებლივ და, ბუნებრივია, ეს თავის კვალს აჩნევდა მას. სერგეევის ნაწარმოებები ჩამოუვარდება საუკეთესო ოსტატთა ნამუშევრებს, მაგრამ ეს უნიჭობით ან უცოდინარობით კი არ აიხსნება, არამედ იძულებითი ნაჩქარევობით.

სერგეევის 20-იანი წლების ნამუშევრები შეესაბამებოდნენ ეპოქის სულისკვეთებას. სერგეევის ძალა მისი დიდი მოქალაქეობრიობა იყო.

მოგვიანებით, როცა მოსკოვში ვცხოვრობდი, ჩვენ კვლავ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. ჩვენ გვაახლოებდა რევოლუციური თემატიკა, რომელზეც ორივენი ვმუშაობდით.

სერგეევის შემოქმედება გამსჭვალული იყო მონუმენტური პროპაგანდის ლენინური იდეით. თავისი საჭრისით იგი რევოლუციისათვის მუშაობდა. ჩვენ, ხელოვნების მუშაკები, პატივს ვცემთ ჩვენი ძველი ამხანაგის ხსოვნას. თბილისი ვერ დაივიწყებს თავის პირველ საბჭოთა მოქანდაკეს.

• • •

საბჭოთა კავშირის ხალხთა მოძმე ოჯახში თავის დღევანდელ აყვავებას, თავის ყველა წარმატებასა და მიღწევას საბჭოთა საქართველო უნდა უმადლოდეს ლენინური პარტიის ხელმძღვანელობას, ლენინიზმისადმი ერთგულებას, ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელად განხორციელებას.

ასრულებენ რა ლენინის წინასწარდასახულობებს, რესპუბლიკის მშრომელებმა 1927 წელს მწყობრში ჩააყენეს ზაჰესი — მეორე ჰიდროელექტროსადგური, რომელიც გოელროს ლენინური გეგმით აშენდა.

ილიჩისადმი სიყვარულისა და მადლიერების ნიშნად საქართველოს მშრომელებმა ზაჰესის წინ ბელადს აუგეს დიდებული ძეგლი, რომლის ავტორია ცნობილი მოქანდაკე ი. შადრი. იგი სამართლიანად ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო მოქანდაკედ ჩვენს ქვეყანაში.

ახლა ვ. ი. ლენინის დიდებული ძეგლი აღმართულია თბილისის ცენტრში. ილიჩს ხელი აქვს გაწვდილი მოედანზე, რომელიც მის სახელს ატარებს. ძეგლის ავტორია სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი ვ. თოფურიძე.

რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდან, მონუმენტიდან, რომელიც სუსტი მასალებით იყო აგებული, მაგრამ ჩაქსოვილი იყო ქართველი ხალხის სიყვარული და უსაზღვრო მადლიერება კაცობრიობის გენიისადმი, დღევანდელ საქართველომდე, რომელიც ემზადება ზეიმით აღნიშნოს თავისი უკვდავი ბელადისა და მასწავლებლის დაბადების 100 წლისთავი — ასეთია ლენინური იდეების ტრიუმფული გზა ქართულ მიწაზე.

• • •

1921 წლის სექტემბერში ილიჩის მონუმენტ-ბიუსტის თბილისში დადგმის მასალები შეაგროვა დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის სამეცნიერო რედაქტორმა ი. ი. ფიგატნერმა, შვილმა ცნობილი პროფესიონალი რევოლუციონერის, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს მდივნის იური ფიგატნერისა, რომელიც მიტინგზე გამოვიდა ვ. ი. ლენინის მონუმენტის გახსნის დროს. (საქდესი).

• • •

სურათებზე: ზემოთ — ვ. ი. ლენინის ბიუსტი-მონუმენტი, მოქანდაკე სერგეევის ნამუშევარი; ქვემოთ — საქართველოს სსრ რევკომის თავმჯდომარე ფ. ი. მახარაძე ხსნის ვ. ი. ლენინის მონუმენტს.

(საქდესის ფოტოქრონიკა).

კეკონენის ვიზიტი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში

პრაღა, 6 ოქტომბერი. (საკდესი). დამთავრდა ოთხდღიანი ვიზიტი ფინეთის პრეზიდენტის ურხო კეკონენისა, რომელიც ჩეხოსლოვაკიაში იყო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის მოწვევით. უ. კეკონენს, რომელიც პრაღის გარდა იყო აგრეთვე ბრატისლავაში, ახლდნენ ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. კარიალაინენი და სხვა ოფიციალური პირები. როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, უ. კეკონენი მოლაპარაკებას აწარმოებდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტთან ლ. სვობოდასთან. მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღეს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ო. ჩერნიკმა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ზ. ტრგლიკმა. პრეზიდენტი კეკონენი შეხვდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს გ. ჰუსაკს. მეგობრულ ვითარებაში განიხილეს როგორც ორი ქვეყნის ურთიერთობის პრობლემები, ისე უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრობლემები.

გულახდილი და კონსტრუქციული მოლაპარაკების მსვლელობაში, რომელიც მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა, აღნიშნულია ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტოს ცნობაში, უ. კეკონენმა და ლ. სვობოდამ ერთმანეთს გაუზიარეს აზრი ჩეხოსლოვაკიისა და ფინეთის ურთიერთობის აქტუალურ საკითხებსა და ამ ურთიერთობის შემდგომი განვითარების პერსპექტივებზე. ორივე მხარემ აღნიშნა, რომ ურთიერთობაში არ არის რაიმე გადაუჭრელი ან სადავო საკითხი.

გადაწყვიტეს დაიწყონ მოლაპარაკება ორ ქვეყანას შორის ეკონომიური, სამრეწველო და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების დადებაზე. ბრატისლავაში დაარსდება ფინეთის სავაჭრო წარმომადგენლობა. ორივე მხარე გამოთქვამს მზადყოფნას კვლავაც განავითარონ კონტაქტები კულტურის დარგში.

საერთაშორისო მდგომარეობის საკითხთა განხილვის მსვლელობანი, ნათქვამია შემდეგ ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტოს ცნობაში, ორივე მხარემ კმაყოფილებით აღნიშნა თავიანთ შეხედულებათა მსგავსება. მათ გამოთქვეს აზრი, რომ საჭიროა დაიცვან და სავსებით განახორციელონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დებულებანი საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისა და ხალხთა თანამშრომლობის განვითარების მიზნით. ორივე მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ გადაწყვეტილი აქვთ აქტიური ღონისძიებანი იხმარონ ევროპის უშიშროების მისაღწევად და გამოთქვეს იმედი, რომ კონსულტაციებს, რომლებიც ამჟამად მიმდინარეობს, მოჰყვება სრულიად ევროპის თათბირის მოწვევა ევროპის უშიშროების საკითხებზე.

◆

კომუნისტების წარმატება არჩევნებზე

პარიზი, 6 ოქტომბერი. (საკდესი). ნაწილობრივ მუნიციპალურ არჩევნებში, რომელიც გუშინ გაიმართა ქალაქ ვილაბეში (ესონის დეპარტამენტი პარიზის სამხრეთით) გაიმარჯვეს კომუნისტური პარტიის კანდიდატებმა.

ამას იუწყება ფრანს პრესის სააგენტო, რომელიც აღნიშნავს, რომ კომუნისტ კანდიდატებს ხმა მისცა ამომრჩეველთა დაახლოებით 65 პროცენტმა.

ერთგულად იცავენ დუკლის გმირთა ანდერძს

სვიდნიკი, 6 ოქტომბერი. (საკდესის კორ). გუშინ სასაზღვრო ქალაქ სვიდნიკში გაიმართა მშრომელთა მრავალათასიანი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა კარპატ-დუკლის ოპერაციის 25 წლისთავსა და ჩეხოსლოვაკიის სახალხო არმიის დღეს.

მიტინგს დაესწრნენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ლ. სვობოდა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ო. ჩერნიკი, სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი შ. სადოვსკი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი გენერალ-პოლკოვნიკი მ. ძური, საბჭოთა სამხედრო დელეგაცია სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის საბჭოთა კავშირის მარშლის ა. ა. გრეჩკოს მეთაურობით, სხვა სოციალისტური ქვეყნების სამხედრო დელეგაციები.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ლ. სვობოდამ და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა საბჭოთა კავშირის მარშალმა ა. ა. გრეჩკომ.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კარპატ-დუკლის ოპერაციას ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებისათვის. დუკლის ბრძოლები, თქვა მან, ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის ბრწყინვალე მაგალითია. ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის არმიების საბრძოლო ძმობის მკაფიო გამოვლინებაა. ლ. სვობოდამ აღნიშნა, რომ დუკლის ბრძოლებში დაღუპულ გმირთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ანდერძია საბჭოთა კავშირთან მტკიცე მეგობრობის ერთგულად დაცვა.

მარშალმა ა. ა. გრეჩკომ ილაპარაკა საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელი მეომრების გმირობაზე კარპატის მთების ბრძოლებში. მან ხაზი გაუსვა, რომ ჩეხოსლოვაკიის ხალხებს მუდამ შეიძლება ჰქონდეთ სსრ კავშირის იმედი, რომ საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხთა და არმიათა მტკიცე მეგობრობა მათი უძლეველობის საწინდარია. ა. ა. გრეჩკომ აღნიშნა, რომ ჩეხოსლოვაკიის სახალხო არმიას ღირსეული ადგილი უკავია ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების არმიათა საბრძოლო ოჯახში.

რესპუბლიკური ჯარების გამარჯვება

სანა, 6 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ 4 ოქტომბერს რესპუბლიკურმა ჯარებმა დიდმნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს კიტაფისა და ვალიის რაიონებში, იუწყება სანის რადიო. წარმატებითი საომარი ოპერაციის შედეგად იემენის არაბთა რესპუბლიკის მთელი ჩრდილოეთი ნაწილი ახლა გაწმენდილია მონარქისტებისაგან, ხოლო იემენის არაბთა რესპუბლიკის არმია გავიდა ქვეყნის ჩრდილოეთ საზღვრებზე.

ცვლილებანი ინგლისის მთავრობაში

ლონდონი, 6 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ საღამოს აქ გამოაცხადეს ზოგიერთი ცვლილება ინგლისის მინისტრთა კაბინეტში. ცვლილებანი არ ეხებიან ძირითად პოსტებს, არამედ უწინარეს ყოვლისა ეხებიან სამინისტროებს, რომლებიც ეკონომიკის საკითხებს განაგებენ.

მნიშვნელოვნად ფართოვდება, კერძოდ, მოქმედების სფერო ტექნიკის სამინისტროსი, რომლის სათავეში რჩება ანტონი ვეჯვუდ ბენი. ორი გაუქმებული სამინისტროს — ენერგეტიკისა და ეკონომიკის სამინისტროების ფუნქციების გარდა ტექნიკის სამინისტრო კისრულობს აგრეთვე ვაჭრობის სამინისტროს მთელ რიგ წინანდელ ფუნქციებს.

როი მეისონი დანიშნულია ახალ ვაჭრობის მინისტრად.

შექმნილია ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონალური დაგეგმვის ახალი სამინისტრო. მას სათავეში უდგას სახელმწიფო მდივანი ანტონი კროსლენდი, რომლის გამგებლობაში გადადის ორი სამინისტრო—საბინაო მშენებლობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის სამინისტრო და ტრანსპორტის სამინისტრო.

მინისტრთა კაბინეტის წევრთა საერთო რიცხვი 23-დან შემცირებულია 21-მდე.

აქ მიაჩნიათ, რომ ცვლილებები მთავრობაში, რომლებიც გამოაცხადა პრემიერ-მინისტრმა ჰაროლდ ვილსონმა, ნაბიჯია პარლამენტის ახალი არჩევნების მომზადებაში, რომელიც მომავალი წლის შემოდგომაზე გაიმართება.

◆

ინგლისის მშრომელთა დემონსტრაციები

ლონდონი, 6 ოქტომბერი. (საკდესი). ინგლისის მშვიდობისათვის მებრძოლებმა საპროტესტო მარშები მოაწყვეს ინგლისში ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის წარმოებისა და დაგროვების წინააღმდეგ. დემონსტრაციები მოეწყო ინგლისის თავდაცვის სამინისტროს ორ ცენტრთან, სადაც მიმდინარეობს ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოკვლევა: პორტონდაუნსა და ნენსპიუკში.

მსოფლიო დღეს

დიდი იუბილეს აღსანიშნავად

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნამ“ მოაწყო ლექტორთა ორი დღის თათბირ-სემინარი თემაზე „ლენინი — სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის ფუძემდებელი“.

თათბირ-სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა პ. გუგუშვილმა.

ლექცია თემაზე „ვ. ი. ლენინი — სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის ფუძემდებელი“ გააკეთა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატმა, დოცენტმა რ. წულუკიძემ. მოისმინეს ლექციები ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გ. მეგრელიშვილისა — „ვ. ი. ლენინი და თანამედროვე იმპერიალიზმის პრობლემები“, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვ. ჭანუყვაძისა — „ლენინი და თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტეკონომია“, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ი. მქედლიძის — „ვ. ი. ლენინი სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის შესახებ“, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილის ვ. ტრაპაიძისა — „ვ. ი. ლენინი სოციალისტური ეკონომიკის მშენებლობაში ფინანსებისა და კრედიტების როლის შესახებ“, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მ. კახეთელიძისა — „ვ. ი. ლენინის მოძღვრება რენტის თეორიის შესახებ“, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვ. აბულაძისა — „ვ. ი. ლენინი ფულად-სასაქონლო ურთიერთობის შესახებ სოციალიზმის მშენებლობაში“, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილის ა. ხაჩიძისა — „ვ. ი. ლენინი სოციალისტური აღრიცხვისა და სტატისტიკის შესახებ“, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ პ. გუგუშვილისა — „ვ. ი. ლენინი საბჭოთა საქართველოს ეკონომიური განვითარების შესახებ“.

ლექცია საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ წაიკითხა მოსკოველმა ლექტორმა ლ. რეზნიკოვმა. (საქდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსთაველის დღეები
5 – 20
ოქტომბერი

პოეზიის დღესასწაული

შოთაობა მესხეთში

კვირას, სოფელ რუსთავში

ასპინძა. (საკ. კორ.). ყოველწლიურად სულ უფრო მასობრივ ხასიათს იღებს პოეზიის დღესასწაული — შოთაობა მესხეთში. კვირას, 5 ოქტომბერს, სოფელ რუსთავში შოთა რუსთაველის ძეგლთან თავი მოიყარა ასპინძის, ახალციხის, ადიგენის, ახალქალაქის რაიონების ათასობით მშრომელმა. აქ იყვნენ აგრეთვე რესპუბლიკის დედაქალაქისა და სხვა რაიონების წარმომადგენლებიც — პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელი მუშაკები, პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, თეატრის, ხელოვნებისა და კულტსაგანმანათლებლო დარგის მუშაკები.

პოეზიის დღესასწაულზე ჩამოვიდა ქართველ მწერალთა დიდი ჯგუფი საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივნის გრ. აბაშიძის ხელმძღვანელობით.

პოეზიის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო მიტინგი გახსნა საქართველოს კპ ასპინძის რაიკომის პირველმა მდივანმა ლ. ისაკაძემ. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ სოფელ რუსთავის შოთა რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ე. მამუკაშვილი, ახალციხის კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი გ. ჩარანიძე, პარტიის ახალქალაქის რაიკომის მდივანი თ. ლაზარიშვილი, პარტიის ადიგენის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე პ. მერაბიშვილი.

ასპინძელი და ადიგენელი მოსწავლეები კითხულობენ ქართველი პოეტების ლექსებს, ხოლო ასპინძის რაიონის სოფელ ჭობარეთის კოლმეურნეობის მოხუცი კოლმეურნე ა. ჯვარიძე, რომელმაც ზეპირად იცის მთელი „ვეფხისტყაოსანი“, კითხულობს ნაწყვეტს პოემიდან.

შემდეგ სიტყვას ამბობს საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი გრიგოლ აბაშიძე. სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ბ. ჟღენტი, მწერლები ლ. გოთუა, ბ. სეირანიანი, გ. ფანჯიკიძე.

პოეზიის ზეიმზე ახალი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა ა. მირცხულავამ, ქ. კალაძემ, დ. გაჩეჩილაძემ, გ. კაჭახიძემ, ფ. ხალვაშმა, ჯ. ჩარკვიანმა, ე. დიდიმამიშვილმა, მ. ფოცხიშვილმა, შ. ფორჩხიძემ, ტ. ჭანტურიამ, ა. ტაბატაძემ, ჯ. ინჯიამ, ვ. დოლბაიამ...

საზეიმო მიტინგის დახურვის შემდეგ გაიმართა დიდი სახალხო სეირნობა.

წინაპართა უკვდავება

გორი. (კომუნისტის საკ. კორ.). ქალაქ გორში გაიმართა საზეიმო მიტინგი, რომელიც მიეძღვნა შოთა რუსთაველის მემორიალის გახსნას. მიტინგი, რომელზეც შეიკრიბნენ მწერლები და პოეტები, ქალაქ გორის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ხელმძღვანელი ამხანაგები, აგრეთვე ქალაქის ინტელიგენცია, შესავალი სიტყვით გახსნა მშრომელთა დეპუტატების გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. ხინჩიკაშვილმა. იგი სიტყვას აძლევს კრიტიკოს ბესარიონ ჟღენტს, რომელმაც ვრცლად ილაპარაკა რუსთაველის პოეზიის მსოფლიო მნიშვნელობაზე.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე რესპუბლიკის სახალხო არტისტი შ. ხერხეულიძე, სოციალისტური შრომის გმირი ნ. ჩერქეზიშვილი და სხვები.

ლექსები წაიკითხეს ი. ნონეშვილმა, ჯ. ჩარკვიანმა, ფ. ხალვაშმა, ვ. გორგანელმა და სხვებმა.

შოთა რუსთაველის მემორიალის პროექტის ავტორია ი. ბინიაშვილი, ხოლო ბარელიეფის ავტორია ა. მჭედლიშვილი, ქვაზე ჭრის ოსტატი და მომჩუქურთმებელი ბ. გელაშვილი.

მიტინგის დამთავრების შემდეგ აქ შეკრებილნი წავიდნენ ი. ჭავჭავაძის პროსპექტისაკენ, სადაც თვალწარმტაც სკვერში საძირკველი ჩაეყარა ნ. ბარათაშვილის ძეგლს. სიტყვებით გამოვიდნენ პოლონელი მწერალი და ჟურნალისტი ი. ვოლაშჩუკი, ქ. კალაძე, გ. კაჭახიძე, მ. ფოცხიშვილი, გორის ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი შ. ქურდაძე.

წლითიწლობით მშვენდება და კეთილმოწყობილი ხდება ქართული მარგანეცის ქალაქი ჭიათურა, იზრდება მისი საზღვრები, მწყობრში დგება ახალი სამრეწველო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტები, საცხოვრებელი სახლები. მარტო მიმდინარე წელს ახალმშენებლობებისათვის 11 მილიონი მანეთია გამოყოფილი.

მშენებლები ჩაებნენ ხუთწლედის ვადამდე შესრულებისთვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. მშენებელთა 26 ბრიგადას მიენიჭა კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო სახელი. მათ შორის 8 ბრიგადამ უკვე შეასრულა ხუთწლედის დავალება და 1971 წლის ანგარიშში მუშაობს. სურათზე: ახალი საცხოვრებელი სახლები ქალაქ ჭიათურაში ნიკოპოლის ქუჩაზე.

ფოტო ა. მაჭავარიანისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

მსჯელობენ ბოტანიკოსები

გვესაუბრება ბოტანიკოსთა საკავშირო ყრილობის თბილისის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ნ. კეცხოველი

დღეს, 7 ოქტომბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მუშაობას იწყებს ბოტანიკოსთა IV საკავშირო ყრილობა, რომელიც მოიწვიეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკოსთა საკავშირო და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკოსთა რესპუბლიკურმა საზოგადოებებმა. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად თბილისში ჩამოვიდნენ ჩვენი სამშობლოს ყველა რესპუბლიკის გამოჩენილი ბოტანიკოსი მკვლევარები, ყველაზე დიდი დელეგაცია, 96 კაცის შემადგენლობით, გვეწვია ლენინგრადიდან: იმ ქალაქიდან, სადაც არის ბოტანიკოსთა ძლიერი სამეცნიერო ინსტიტუტი. უკრაინიდან ჩამოვიდა 72 დელეგატი, ბელორუსიიდან — 48, საქართველოდან — 55. სულ ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს 700-მდე დელეგატი.

ბოტანიკოსთა საკავშირო ყრილობის მოწვევის ერთ-ერთი საბაბი გახდა ის ფაქტი, რომ წელს გამართული ბოტანიკოსთა მსოფლიო კონგრესის გადაწყვეტილებით მომდევნო კონგრესის სხდომა უნდა გაიმართოს საბჭოთა კავშირში. ჩვენმა ყრილობამ აქედანვე უნდა დასახოს ღონისძიებანი მსოფლიოს ბოტანიკოსთა ამ დიდი ფორუმის შესახვედრად.

აღსანიშნავია, რომ ეს პირველი გასვლითი ყრილობაა, რომელიც იმართება ლენინგრადს გარეთ და ყრილობის მოწვევის ადგილად არჩეულია საქართველო.

ამ შემთხვევაში არჩევანი ჩვენს რესპუბლიკაზე შემთხვევითი არ ყოფილა. საქართველო თავისი შესანიშნავი ბუნებრივი პირობებით ერთ-ერთი საინტერესო კუთხეა. თუ რუსეთის დიდ ვაკეზე, ჩრდილოეთ კავკასიიდან მთყოლებული ბალტიის ზღვამდე, გვხვდება მცენარეთა 2500 სახეობა, საქართველოში მათი რიცხვი 5000-ზე მეტია. მცენარეთა ამ მრავალფეროვნებას ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი პირობები, ისტორიულგეოლოგიური წარსული, ადამიანის ინტენსიური მოქმედება მთელი თავისი ისტორიის მანძილზე.

საქართველოში გვხვდება ერთი მხრივ უდაბნოებისა და ნახევრად უდაბნოების მცენარეები, მეორე მხრივ სუბტროპიკული ტიპისა და ყინულოვანი ზონის მცენარეები (მაღალ მთებში). მათ შორის კი არის მცენარეთა მრავალი გარდამავალი საფეხურები. აი სწორედ ასეთმა მცენარეთა მრავალსახეობამ, აგრეთვე საქართველოს ბოტანიკოსთა მიღწევებმა განაპირობა ყრილობის მოწვევა ჩვენს რესპუბლიკაში.

ყრილობის მუშაობის პერიოდში ერთი დღე დაეთმობა ქართველ ბოტანიკოსთა მოხსენებებს, სხვადასხვა სექციებში, როგორიც არის მცენარეთა სისტემატიკისა და გეოგრაფიის, გეობოტანიკის, მიკრობიოლოგიის, კულტურული მცენარეების, გამოყენებითი ბოტანიკის, მცენარეთა ფიზიოლოგიის, ბოტანიკური ბაღების, ანატომიისა და მორფოლოგიის და სხვ. სექციებში, წაკითხული იქნება 80-მდე მოხსენება, რომელთა ავტორები არიან სოხუმის, ბათუმის, თბილისის ბოტანიკური ბაღების, ბოტანიკის ინსტიტუტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სატყეო და პედაგოგიური ინსტიტუტების მეცნიერი მუშაკები. ასეთი ფართო აუდიტორიის წინაშე გამოსვლა ქართველი მეცნიერებისათვის მეტად მნიშვნელოვანია.

ყრილობის მუშაობა გაგრძელდება 10 ოქტომბრამდე. სხდომები გაიმართება მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის შენობაში, რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში. 10-11 ოქტომბერს ყრილობის მონაწილეთათვის მოეწყობა ექსკურსიები კახეთში, ყაზბეგში, ბაკურიანში, ბათუმში, სოხუმში.

წარმატებითი მუშაობა ვუსურვოთ ბოტანიკოსთა ყრილობას.

მკურნალი, მეცნიერი

მონოგრაფია გამოჩენილ ქართველ ნევროლოგზე

◆

გამომცემლობა „მეცნიერებამ“ ამას წინათ გამოსცა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის პროფესორ ალ. მინდაძის მონოგრაფიული ხასიათის ნაშრომი — „პეტრე ქავთარაძე“.

წიგნში მოთხრობილია საქართველოში მეცნიერული ნევროლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს პეტრე ქავთარაძის საექიმო, სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ.

აკადემიკოსი პ. ქავთარაძე ეკუთვნის ქართველ მეცნიერთა იმ ადრინდელ თაობას, რომელმაც მძიმე უღელი გასწია ქართული სამედიცინო მეცნიერების შექმნასა და ჩამოყალიბებაში.

მონოგრაფიის დასაწყისში ვეცნობით პ. ქავთარაძის ბიოგრაფიულ მონაცემებს. იგი დაიბადა 1889 წლის 20 მაისს ყოფილი სენაკის მაზრის სოფელ ნოსირში. დაწყებითი განათლება მიიღო ძველი სენაკის სათავადაზნაურო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ შედის ამავე სახელწოდების ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში, რომელიც მაშინ დასავლეთ საქართველოში მოსწავლე ახალგაზრდების აღზრდა-განათლების ცენტრს წარმოადგენდა. ამ სკოლაში მაშინ მოღვაწეობდნენ ისეთი გამოჩენილი პედაგოგები, როგორიც იყვნენ: სილოვან ხუნდაძე, იოსებ ოცხელი, გერასიმე ცაგარეიშვილი, სამსონ ყიფიანი და სხვები. სწავლისადმი სწრაფვამ, დაუზარელმა მუშაობამ და სანიმუშო ყოფაქცევამ განაპირობეს მომავალი მეცნიერის ხვედრი. მისი პიროვნების ჩამოყალიბებასა და შემდგომი გზის არჩევაში დიდი როლი მიუძღვის გიმნაზიის მაშინდელ დირექტორს იოსებ ოცხელს.

ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1908 წელს პ. ქავთარაძე შედის ნოვოროსიისკის უნივერსიტეტში სამკურნალო ფაკულტეტზე, სადაც მაშინ ლექციებს კითხულობდნენ მეცნიერების ისეთი კორიფეები, როგორიც იყვნენ: ი. სეჩენოვი და ი. მეჩნიკოვი. იმ პერიოდში ამ უნივერსიტეტის რექტორი ყოფილა სახელგანთქმული მეცნიერი ვ. პეტრიაშვილი.

სტუდენტობის წლებში პ. ქავთარაძე დიდ ინტერესს იჩენდა ბიოლოგიისა და მედიცინის თეორიულ საკითხებში. ჯერ კიდევ მესამე კურსის სტუდენტმა ქართულ ენაზე გამოაქვეყნა შრომა — „ანაბიოზი“. ამავე პერიოდში პ. ქავთარაძე რევოლუციურ გამოსვლებში მონაწილეობისათვის ორი წლით გაირიცხა უნივერსიტეტიდან. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მას გზავნიან დასავლეთის ფრონტზე.

როგორც მონოგრაფიაშია აღნიშნული პ. ქავთარაძე მაშინდელ ქართულ პრესაში სისტემატურად აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს, ლიტერატურულ ნარკვევებსა და თარგმანებს.

1921 წელს პ. ქავთარაძე იწყებს მუშაობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნერვულ სნეულებათა კათედრაზე, ჯერ დამსახურებული პროფესორის ი. ანფიმოვის და შემდეგ პროფესორ ს. ყიფშიძის ხელმძღვანელობით. ამ კლინიკაში მუშაობის პერიოდში პ. ქავთარაძე აქვეყნებს მნიშვნელოვან შრომებს ნევროლოგიის აქტუალურ საკითხებზე. 1931 წელს მისი ინიციატივით ქალაქის I საავადმყოფოში იხსნება ნერვული განყოფილება, რომელიც მოგვიანებით გახდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული და სან-ჰიგიენური ფაკულტეტების ნერვულ სნეულებათა კათედრის ბაზა. ამ კათედრას თვითონ ჩაუდგა სათავეში.

დღეს კი ამ განყოფილების ბაზაზე დიდად ნაყოფიერ საქმიანობას ეწევა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ინსტიტუტი, რომელსაც ხელმძღვანელობს გამოჩენილი ნევროლოგი აკადემიკოსი პეტრე სარაჯიშვილი.

1937 წელს პ. ქავთარაძე იცავს სადოქტორო დისერტაციას თემაზე „ქრონაქსიის დიაგნოსტიკური მნიშვნელობისათვის“. მონოგრაფიის ავტორი მკითხველს აცნობს პ. ქავთარაძის მიერ შესრულებულ 80 სამეცნიერო ნაშრომს, რომელთა უდიდესი უმრავლესობა ეხება კლინიკური ნევროლოგიისა და თერაპიის, ბავშვთა ნევროპათოლოგიის, კურორტოლოგიისა და სამკურნალო ფიზკულტურის, ზოგად სამედიცინო თეორიულ საკითხებს, რომლებიც საფუძვლიანად დაამუშავა აკადემიკოსმა პ. ქავთარაძემ. ამასთან ერთად პროფესორი ა. მინდაძე განიხილავს პ. ქავთარაძის მიერ ქართულ ენაზე გამოცემულ რამდენიმე სახელმძღვანელოს ნევროპათოლოგიაში და სამართლიანად აღნიშნავს, რომ პ. ქავთარაძე ითვლება საქართველოში ბავშვთა ნევროლოგიის მეცნიერული შესწავლის პიონერად.

პ. ქავთარაძის ხელმძღვანელობით შესრულებულია 4 სადოქტორო და 6 საკანდიდატო დისერტაცია. საგულისხმოა, რომ იგი 50-ჯერ მაინც იყო ოპონენტი სამეცნიერო ხარისხთა დაცვის დროს. 1953 წლიდან პროფესორ ს. ყიფშიძის სიკვდილის შემდეგ, პ. ქავთარაძე იწყებს მუშაობას სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის ნერვულ სნეულებათა კათედრის გამგედ, სადაც მუშაობდა გარდაცვალებამდე (1966 წლის 1 მარტი). წიგნში შემდეგ ვეცნობით პ. ქავთარაძის საექიმო, პედაგოგიურ და პიროვნულ თვისებებს. შეუდარებელი იყო იგი თავის ყოველდღიურ საქმიანობაში, ავადმყოფის საწოლთან დიდი დიაგნოსტიკური ალღოთი დაჯილდოებული, ყოველთვის იმედით ანაწყობდა ავადმყოფს.

პ. ქავთარაძე თავის მიმზიდველ ლექციებში განსაკუთრებულ ადგილს უთმობდა დიაგნოსტიკისა და თერაპიის საკითხებს.

მონოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი პ. ქავთარაძის საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

სოფელ ნოსირში, სადაც დაიბადა და ბავშვობა გაატარა, მან საკუთარი სახსრებით დაიწყო კულტურის სახლის მშენებლობა, გახსნა ბიბლიოთეკა, რომელსაც ამარაგებდა ჟურნალ-გაზეთებით და წიგნებით. ათი წლის განმავლობაში ხელფასს უხდიდა ბიბლიოთეკის გამგეს.

1967 წელს სოფელ ნოსირში ოფიციალურად გაიხსნა აკადემიკოს პეტრე პავლეს-ძე ქავთარაძის სახელობის კულტურის სახლი. მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით კურორტ ახტალაში გაიხსნა სანატორიუმი ბავშვთა დამბლის სამკურნალოდ.

სხვადასხვა დროს პ. ქავთარაძე იყო ჟურნალ „თანამედროვე მედიცინის“ და „საბჭოთა მედიცინის“ სარედაქციო კოლეგიის მდივანი და წევრი, ნევროპათოლოგთა და ფსიქიატრთა საზოგადოების თავმჯდომარე, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამედიცინო სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე, რესპუბლიკის მთავარი ნევროპათოლოგი და სხვ.

პროფესორ ა. მინდაძის წიგნი უდავოდ მნიშვნელოვანი ნაშრომია ქართული მედიცინის და კერძოდ ნევროლოგიის ისტორიაში. ავტორის მიერ შრომატევადი მუშაობაა გაწეული ფაქტიური მასალის შესაგროვებლად, რომელიც წიგნში საინტერესოდ არის გაშუქებული.

მსგავსი მონოგრაფიების გამოცემა განსაკუთრებით სასარგებლოა ჩვენი ახალგაზრდობისათვის.

გ. ნადარეიშვილი,
ქალაქის 1-ლი კლინიკური საავადმყოფოს ნერვული განყოფილების გამგე, ქალაქის მთავარი ნევროპათოლოგი.

შვიდჯერ ზედიზედ

კომუნისტი სპორტი

ნეაპოლში კვირას ფინიში ჰქონდა კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატს. ფინალში ერთმანეთს ხვდებოდნენ სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდები. ადრე, ქვეჯგუფში მათი ასპარეზობა იუგოსლაველ კალათბურთელთა გამარჯვებით დამთავრდა. კვირის მატჩს გაცილებით მეტი პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა — პაექრობა წყვეტდა ოქროს მედლების ბედს.

პირველი ტაიმი საბჭოთა კალათბურთელებმა რვა ქულის განსხვავებით 41:33 მოიგეს. შეხვედრის მეორე ნახევარში იყო მომენტი, როცა იუგოსლაველებმა ერთ ქულამდე დაიყვანეს განსხვავება, მაგრამ ეს იყო და ეს. მატჩი დამაჯერებლად მოიგეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 81:72 და ზედიზედ მეშვიდედ მოიპოვეს ევროპის კონტინენტის უძლიერესთა სახელი.

მესამე ადგილის ბედი უნდა გადაეწყვიტა ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის ნაკრები გუნდების პაექრობას. გაიმარჯვეს ჩეხოსლოვაკიელებმა და ბრინჯაოს მედლებიც მათ დარჩათ.

კიევის „დინამო“ ლიდერს ეწევა

კვირას გაიმართა „ა“ კლასის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ბოლო ტურის ერთი მატჩი. კიევის „დინამო“ შეხვდა დონეცკის „შახტიორს“. ბიშოვეცის ერთადერთმა ბურთმა კიეველებს გამარჯვება მოუტანა. ახლა მათ 31 ქულა აქვთ 19 თამაშიდან და, დაკარგულ ქულებს თუ ჩავთვლით, ჩემპიონატში წინ უსწრებენ სპარტაკელებს (34 ქულა 21 შეხვედრიდან).

პირველი ხმალი

ჰავანაში გრძელდება მსოფლიო ჩემპიონატი ფარიკაობაში. ასპარეზობაში შესანიშნავად გამოვიდნენ საბჭოთა გუნდის წევრები ლვოველი სპორტსმენები ვიქტორ სიდიაკი და ვასილ სტანკოვიჩი. ვ. სიდიაკმა უძლიერესის სახელი მოიპოვა ხმლით მოფარიკავეთა შორის. ვ. სტანკოვიჩი ვერცხლის პრიზიორია რაპირისტთა ტურნირში.

ხელბურთელთა ტურნირზე

თბილისში დაიწყო ხელბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი. თბილისის „ბურევესტნიკმა“ წარმატებით იასპარეზა შაბათსა და კვირას — მოუგო მინსკის „პოლიტექნიკს“ — 26:21 და გასული წლის ჩემპიონს — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდს — 22:18. გუშინ ქართველი სპორტსმენები შეხვდნენ კრასნოდარელ თანაკლუბელებს და დამარცხდნენ 17:19.

ფინიშის სუნთქვა

ვაჟთა საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის დამთავრებამდე სამი ტურაღა რჩება. მდგომარეობა ლიდერთა ჯგუფში მეტად დაძაბულია. პირველი ადგილის მთავარი პრეტენდენტები მეტად ფრთხილობენ. თითქმის არავითარი ბრძოლა არ ყოფილა ვ. სმისლოვ-ე. გელერის პარტიაში. გავიხსენოთ ერთი რამ — ე. გელერმა ადრე ორი მატჩი მოუგო ვ. სმისლოვს, მაგრამ ახლა კი აშკარად კმაყოფილი იყო ყაიმით. მომდევნო მეოცე ტურშიც ვ. სმისლოვი ყაიმს დასჯერდა მ. ტაიმანოვთან, თუმცა, მიმომხილველთა აზრით, შეეძლო მოგებაზე ეთამაშა.

ორ-ორი ყაიმი ჩაიწერეს ცხრილში აგრეთვე ტ. პეტროსიანმა და ლ. პოლუგაევსკიმ. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მაინცდამაინც არ ცდილა ბრძოლის გამწვავებას ა. გიპსლისსა და ი. ავერკინთან, ლ. პოლუგაევსკი ფრთხილობდა ი. ბალაშოვსა და ვ. ტუკმაკოვთან. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ლ. პოლუგაევსკიმ ბოლო ექვსი პარტია ყაიმით დაასრულა.

ამ სამეულს ოდნავ ჩამორჩებიან ე. გელერი, რ. ხოლმოვი, ვ. სავონი, მ. ტაიმანოვი, ლ. შტეინი, ი. ბალაშოვი და ი. პლატონოვი. როგორც ვხედავთ, ოთხეულის პრეტენდენტი საკმარისზე მეტია. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ზოგიერთ პრეტენდენტს ერთმანეთთან დარჩა სათამაშო. ასე, მაგალითად, ლ. პოლუგაევსკი ეთამაშება ა. ზაიცევს, ტ. პეტროსიანსა და ლ. შტეინს, ე. გელერი — ვ. სავონს, ა. ლუტიკოვსა და ი. პლატონოვს, ვ. სავონს სათამაშო დარჩა მ. ტაიმანოვთანაც. მ. ტაიმანოვს — რ. ხოლმოვთან. შედარებით უფრო იოლია ვ. სმისლოვისა და ტ. პეტროსიანის მდგომარეობა. ვ. სმისლოვი ეთამაშება ვ. კუპრეიჩიკს, ე. ვასიუკოვსა და ი. ბალაშოვს. საკმარისია ვ. სმისლოვმა ამ შეხვედრებში ორი ქულა მოაგროვოს, რომ დაიჯავშნოს პირველი ან, უარეს შემთხვევაში, მეორე ადგილი. ტ. პეტროსიანი ფინიშზე ხვდება ოსტატებს ს. უუხოვიცკისა და ი. ზაიცევს, რომლებიც ამ ტურნირში საკმაოდ უფერულად თამაშობენ.

გუშინ დამთავრდა გადადებული პარტიები. პლატონოვმა მოუგო ხმისლოვს და წააგო ლიბერზონთან, ფურმანმა დაამარცხა ტალი, ავერკინმა — ვასიუკოვი, ა. ზაიცევმა—ავერკინი. ყაიმით დამთავრდა შტეინგიპსლისის, ბალაშოვ-ი. ზაიცევისა და ვასიუკოვ-ლიბერზონის პარტიები.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოება, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია ღრმა მწუხარებით იუწყებიან ქართული ხალხური მუსიკალური ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწის, საქართველოს სსრ სახალხო არტისტის

მარიამ (მარო) ესტატეს ასულ თარხნიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შეიქმნა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის მარიამ (მარო) ესტატეს ასულ თარხნიშვილის დაკრძალვის მომწყობი კომისია, რომლის შემადგენლობაში არიან ვ. კუპრავა (თავმჯდომარე), გ. გოშაძე, ა. ბალანჩივაძე, ო. გორდელი, მ. ჩირინაშვილი, ა. კავსაძე და დ. ბილანიშვილი.

მ. თარხნიშვილის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

* * *

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 7 და 8 ოქტომბერს საღამოს 7 საათზე, მაჩაბლის ქუჩა № 4ა და 9 ოქტომბერს დღის 4 საათზე ხელოვნების მუშაკთა სახლში (მახარაძის ქუჩა № 8). გამოსვენება ხელოვნების მუშაკთა სახლიდან საღამოს 5 საათზე. დაკრძალვა დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის

თბილისის № 26 ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა დამატებით მიღებას 1969-70 სასწავლო წლისათვის თბილისის მეტრომშენებლობისა და სამტრესტის ღვინის ქარხნებისათვის კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად შემდეგ სპეციალობებზე:

1. ფართო პროფილის მეტრომშენებელი, 2. საკომპრესორო დანადგარების მემანქანე, 3. ღვინის ჩამომსხმელ-მეაპარატე, 4. მეკასრე, 5. სამაცივრო დანადგარების ზეინკალი.

სასწავლებელში მიიღებიან 7, 8, 9 კლასის და საშუალო განათლების 16-30 წლის ასაკის ორივე სქესის ახალგაზრდები. მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სპეცტანსაცმლით, სტიპენდიით. აგრეთვე მიეცემათ მათ საწარმოო პრაქტიკის პერიოდში გამომუშავებული თანხის 33%. რაიონებიდან ჩამოსული ახალგაზრდები უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო ბინით და უფასო კვებით.

საშუალო განათლების მქონე მოსწავლეები, რომლებიც სასწავლებელს დაამთავრებენ წარჩინებით, უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხებიან კონკურსგარეშე. კურსდამთავრებულებს სწავლის პერიოდი ჩაეთვლებათ საწარმოო სტაჟად.

სწავლების ვადა 1 წელია.

განცხადება შეტანილ უნდა იქნას სასწავლებლის დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: 1. განათლების მოწმობა ან საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი (დედანი), 2. დაბადების მოწმობა (დედანი), 3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 4. ოთხი ცალი ფოტოსურათი (ზომით 3X4), 5. პასპორტი, 6. სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობა (ვაჟებისათვის).

განცხადება მიიღება 20 ოქტომბრამდე, მეცადინეობა დაიწყება 20 ოქტომბერს.

განცხადება და საბუთები სასწავლებელში ჩარიცხვის შესახებ წარმოდგენილ უნდა იქნას პირადად შემდეგი მისამართით:

თბილისი, ავჭალის გზატკეცილი 35-ვ (თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნის მოპირდაპირე მხარეს, ტელეფონი 66-40-33, 66-39-06), ტრანსპორტი: ტრამვაი 3, 11, ავტობუსი 9, 11, 24, 31, 55, 57, 62.

დირექცია.

თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორატი

აცხადებს, რომ დაიწყო მსმენელთა მიღება მოსამზადებელ კურსებზე იმ პირთათვის, რომლებსაც სურთ შესვლა ინსტიტუტის დღისა და საღამოს განყოფილებებზე.

კურსებზე ასწავლიან ინსტიტუტისა და საშუალო სკოლების კვალიფიციური მასწავლებლები.

კურსები სამეურნეო ანგარიშზეა.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე დღის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდე.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის პრ. № 45. უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი. ტელეფონი 22-50-92.

კურსების დირექცია.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

რადიო

8 ოქტომბერი

პირველი პროგრამით

09.30 — რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 11.05 — შ. მილორავა. ნაწყვეტები ოპერეტებიდან, 11.45 — ა. პეტროვი. პოემა ორღანის, საყვირის, სიმებიანი და დასარტყამი საკრავებისათვის, 12.30 — ახალგაზრდობისათვის. ციკლიდან „მოგითხრობთ თქვენს თანატოლებზე“. ნარკვევი „ხელოვანი“, 12.45 — ნ. ჩაიკინი. სიმღერები და რომანსები, 17.30 — მოსწავლეთათვის. კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 18.10 — ა. გლაზუნოვი. საორკესტრო ფანტაზია „ზღვა“, 18.45 — ი. დუნაევსკი. მუსიკა კინოფილმებიდან, 19.15 — დონიცეტი. სცენა ოპერიდან „ლუჩია დი ლამერმური“, 19.45 — ს. კაცი. სიმღერები, 20.30 — რადიოჟურნალი „თბილისი — ბაქო — ერევანი“ ტრანსლაცია ერევნიდან, 21.00 — „ძილისპირული“, 21.10 — ქართველ კომპოზიტორთა კამერული ნაწარმოებები, 22.00 — კ. პაუსტოვსკი „ფარაჯიანი მოხუცი“, რადიოდადგმა, 22.50 — მსუბუქი საორკესტრო პიესები, 23.30 — უკრავს ლ. კოგანი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ტელევიზია

7 ოქტომბერი

11.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — კინოპროგრამა, 11.45 — „აი ეს მუსიკა“ გასართობი პროგრამა (გადმოცემა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან), 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი გადაცემა (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — „ჩვენ ინგლისურს ვსწავლობთ“, 19.20 — „სატელევიზიო ავტოგრაფი“ (სტუდიაში — აკადემიკოსი გ. ახვლედიანი), 19.40 — კონცერტი, 20.10 — „კომკავშირული პოლიტგანათლების მსმენელთათვის“. დაიწყო სასწავლო წელი კომკავშირული პოლიტგანათლების ქსელში, 20.20 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი — „გზა კოსმოსისაკენ“, 21.20 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.45 — მხატვრული ფილმი „ვირინეა“.

თეატრები

7 ოქტომბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — სოფლის პატიოსნება, ესპანური კაპრიჩიო (მე-17 აბონ. მე-3 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — სანამ ურემი გადაბრუნდება, **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — გულადი ჯარისკაცი შვეიკი, **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — ჩანიტას კოცნა, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — როცა მთავრდება ბავშვობა (62 აბონ. საღ. 5. ს. და 30 წ.).

კინო

7 ოქტომბერი

ამირანი (საზამთრო), საქართველო (წითელი დარბაზი), ისანი (საზამთრო), კოლხიდა (საზამთრო), ფილარმონიის ბაღი — **ბოსი 12 საათზე მოვა**, ბათუმი — **მზეთუნახავი არ ვყოფილვარ**, ამირანი (საზაფხულო) — **კილიმანჯაროს თოვლიანი მთა**, საქართველო (მწვანე დარბაზი), გაზაფხული — **ხუთნი ციდან**, საქართველო (საზაფხულო) — **მამაჩემი კაპიტანი**, ისანი (საზაფხულო), პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი — **აზნაურული ბუდე**, სპარტაკი, კომკავშირელი, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო), ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი — **ყოველ საღამოს თერთმეტზე**, 26 კომისრის სახელობის საზაფხულო — **აგრე, მედდაო!**, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი) — **შურისგება** (I, II სერია).

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი

თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 99 93 93, 99 98 09. პ/მგ. მდივნის — 99 72 40. სამდივნოსი — 99 88 10. განყოფილებები: პარტიული — 99 47 61, პროპაგანდის — 93 22 93, მრეწველობის — 93 20 34, სოფლის მეურნეობის — 99 62 16, საბჭოთა მშენებლობის — 93 14 70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93 27 58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99 55 01, ინფორმაციის — 93 16 90, წერილების 99 72 24, ილუსტრაციის — 93 24 54, განცხადებების — 93 92 98

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443

უე 03459

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.